



ანა ქსოვრელი

წარმოდგენილია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, [ანა ქსოვრელი]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ანა ქსოვრელის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „თავდებობის პასუხისმგებლობის ფარგლები ქართულ და გერმანულ სამართალში“ და ვამღევეთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
2019 წელი

ავტორი: ანა ქსოვრელი

დასახელება: „თავდებობის პასუხისმგებლობის ფარგლები ქართულ და გერმანულ სამართალში“

ფაკულტეტი: იურიდიული

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის მთავარი თემაა თავდებობა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით. თავდებობა უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებაა. იგი ვალდებულების პიროვნული უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომელიც საკრედიტო ურთიერთობებში ინტენსიურად გამოიყენება თავდებობის მეშვეობით კრედიტორს, გარდა მოვალის ქონებისა, თავდების ქონებაზეც აქვს წვდომა უზრუნველყოფის ღონისძიების ღირებულება დამოკიდებულია თავდების ქონების ღირებულებაზე ამიტომ აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. თუმცა, თავდების ქონების ოდენობა და ღირებულება როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრული არ არის, უფრო მეტიც, იგი თავდებობის ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება არაერთგზის შეიცვალოს, ვინაიდან თავდებობა, მსგავსად სანივთო სამართლებრივი უზრუნველყოფებისა (იპოთეკა, გირავნობა), თავდების ქონებას არ მიჰყვება. უფრო მეტიც, თავდების ქონება თავდებობის განმავლობაში შეიძლება მესამე პირებზეც გასხვისდეს. თუმცა, გასხვისება თავდებობით ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნებს არ უნდა ემსახურებოდეს, ანუ გარიგება მოჩვენებით ხასიათს არ უნდა ატარებდეს

Abstract

The theme of the present work is a commitment under German and Georgian law. The guarantee is a commitment to be a legal way. It is a personal commitment of the obligation, which is intensively used in credit relationships by creditor, except for the debtor's property, the property of the creditor's access to the value of the measure of the deposit depends on the value of the property of the depositor, so this measure is one of the effective means of providing.

The amount and value of the pledged property is not usually predefined, moreover, it can be replaced several times within the terms of the commitment agreement, since the guarantee, as does the property of mortgages (mortgage, mortgage), does not follow the property of the depositor. Moreover, the property of the treasure may be sold to third parties during betrayal. However, the alienation does not have to serve the purpose of releasing the burden of liability, ie the transaction should not be imaginary

სარჩევი

| | |
|--|----|
| აბსტრაქტი | 4 |
| შესავალი | 7 |
| თავი I. თავდებობის არსი და მისი სამართლებრივი ბუნება | 9 |
| 1.1 თავდებობა და მისი სახეები | 11 |
| 1.2 თავდებობა და სხვა ინსტიტუტები (შედარებითი ანალიზი) | 14 |
| 1.3 თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა | 19 |
| თავი II. თავდებობის ხელშეკრულების შინაარსი და ფორმა | 26 |
| 2.1 თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა | 31 |
| 2.2 ფორმის მნიშვნელობა თავდებობისათვის | 35 |
| 2.3 თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები | 37 |
| თავი III თავდებობის შეწყვეტა | 40 |
| 3.1 ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა | 40 |
| 3.2 შეცილება და არანამდვილობა | 45 |
| თავი IV. თავდებობის ფორმის ინტერპრეტაცია ქართულ და გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში | 51 |
| დასკვნა | 62 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 64 |

შესავალი

თავდებობა მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნული საშუალებაა, რომელიც საკრედიტო ურთიერთობებში შეიძლება ითქვას ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება. საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება შესასრულებელ ვალდებულებათა რაოდენობა და შესაბამისად მათი უზრუნველყოფის საჭიროებაც. სამოქალაქო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ როგორც თეორიულად ისე პრაქტიკულად განხორციელდეს ხელშეკრულების არამართო ერთი (კრედიტორის) არამედ ორივე მხარის ინტერესების თანაბარი დაცვა.

თავდებობისას საკრედიტო დაწესებულების წინაშე თავდები ვალდებულია არა მხოლოდ კონკრეტული ნივთით, არამედ პასუხს აგებს პირადად მთელი თავისი ქონებით. სწორედ ეს განასხვავებს თავდებობას სანივთო უზრუნველყოფისაგან. საკრედიტო დაწესებულება როგორც ხელშეკრულების „ძლიერი“ მხარე დამატებით და რაც შეიძლება მაქსიმალურ გარანტიებს იღებს მის მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად. ერთი კონკრეტული სესხის გაცემისას იყენებს რამდენიმე ტიპის უზრუნველყოფის საშუალებას ერთდროულად.

აქტუალობა. სამაგისტრო თემის აქტუალობა განაპირობა ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ. მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო იმატა საკრედიტო დაწესებულებებისადმი მიმართვამ სესხის აღების მიზნით.

თავდებობის ინსტიტუტი საკმაოდ პოპულარულია საკრედიტო დაწესებულებებში. გაცემული სესხების 60-70% თავდებობითაა უზრუნველყოფილი მიუხედავად იმისა

არსებობს თუ არა ამ სესხის სანივთო უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხი ასევე არ არის საუბკლიანად შესწავლილი სამეცნიერო კუთხით, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი განხილვა და ანალიზი.

თავდებობის ასეთი ფართო გამოყენება გამოიწვია სამოქალაქო ბრუნვაში საბანკო სექტორის პოპულარიზაციამ, რაც თავის მხრივ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მატერიალური მდგომარეობით აიხსნება. ფართო გამოყენებამ კი წარმოშვა ისეთი პრობლემები როგორცაა სესხის აღების მიზნით თავდებთა მხრიდან გაუცნობიერებელი ხელმოწერა ხელშეკრულებებზე. ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად დაზარალებული კი უმეტესად სწორედ თავდები პირები რჩებიან, რომელთა რაოდენობაც დღითი-დღე იზრდება, მითუმეტეს დღეს არსებული კრიზისისა და ინფლაციის პირობებში. აღნიშნული საკითხი სერიოზულ შესწავლასა და გაანალიზებას საჭიროებს, რათა თავდები პირები დაცულ იქნან კრედიტორების თვითნებობისაგან და კანონით მანიპულირებისაგან.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის კვლევის მიზანსა და ამოცანას წარმოადგენს:

- თავდებობის ინსტიტუტის სამართლებრივი შეფასება გერმანული და ქართული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით
- თავდებობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის განხილვა
- დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი და შეფასება

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია თავდებობა გერმანულ და სამოქალაქო სამართლის სისტემაში; ცნება და შინაარსი; სუბიექტები, მათი უფლებები და მოვალეობები; თავდებობის სახეები; თავდებობის შეწყვეტა და მისი შედეგები.

კვლევის მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, შედარებით-სამართლებრივი და სისტემური მეთოდები რათა უკეთ წარმოვაჩინოთ ქართულ და

გერმანულ კანონმდებლობაში თავდებობასთან დაკავშირებით არსებული უარყოფითი და დადებითი მხარეები. ნაშრომის

მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა, მეცნიერ-იურისტთა ნაშრომები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

თავი I. თავდებობის არსი და მისი სამართლებრივი ბუნება

თავდებობა წარმოადგენს ცალმხრივ, კაუზალურ და კონსენსუალურ ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ხელშეკრულების ერთი მხარე - თავდები კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მეორე მხარის - კრედიტორის წინაშე თავდებად დაუდგეს მესამე პირს - მოვალეს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. ამდენად, თავდებობის ხელშეკრულება იდება ორ პირს (ორმხრივი გარიგება) - თავდებსა და კრედიტორს შორის და მასში არ მონაწილეობს მოვალე, თუმცა, თავდებობის შინაარსს წარმოადგენს სწორედ მოვალის („მესამე პირი“) მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულების პიროვნული უზრუნველყოფა. მოვალემ შეიძლება არც კი იცოდეს თავდებობის ხელშეკრულების არსებობის შესახებ ან არ დაეთანხმოს მას, თუმცა, ეს არ მოქმედების თავდებობის ხელშეკრულების ძალმოსილებაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა და სამართლებრივ საფუძველს თავისივე თავში ატარებს.¹

თავდებობა ქართული სამართლის მიხედვით უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებაა. იგი ვალდებულების პიროვნული უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომელიც საკრედიტო ურთიერთობებში ინტენსიურად გამოიყენება თავდებობის მეშვეობით კრედიტორს, გარდა მოვალის ქონებისა, თავდების

¹ ნათია სვანაძე - თავდებობა როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით - სამართალი #1-2 2004, გვ. 65

ქონებაზეც აქვს წვდომა უზრუნველყოფის ღონისძიების ღირებულება დამოკიდებულია თავდების ქონების ღირებულებაზე ამიტომ აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. თუმცა, თავდების ქონების ოდენობა და ღირებულება როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრული არ არის, უფრო მეტიც, იგი თავდებობის ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება არაერთგზის შეიცვალოს, ვინაიდან თავდებობა, მსგავსად სანივთო სამართლებრივი უზრუნველყოფებისა (იპოთეკა, გირავნობა), თავდების ქონებას არ მიჰყვება. უფრო მეტიც, თავდების ქონება თავდებობის განმავლობაში შეიძლება მესამე პირებზეც გასხვისდეს. თუმცა, გასხვისება თავდებობით ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნებს არ უნდა ემსახურებოდეს, ანუ გარიგება მოჩვენებით ხასიათს არ უნდა ატარებდეს.²

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქ. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი საგარანტიო წერილი უნდა ჩაითვალოს წერილობითი ფორმით შედგენილ თავდებობის დოკუმენტად. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტი გაფორმებულია წერილობითი ფორმით, დადასტურებულია თავდების გენერალური დირექტორის და ბუღალტერის ხელმოწერით; დოკუმენტი დამოწმებულია ბეჭდით. დოკუმენტში გამოხატულია თავდების ნება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მოპასუხის ვალდებულებისათვის. დოკუმენტში მითითებულია კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც იკისრა მოსარჩელემ პასუხისმგებლობა. დადგენილია, რომ მითითებული დოკუმენტი მიიღო კრედიტორმა, მასში მითითებულ პირობებზე არ გამოუთქვამს პრეტენზია, გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება მოპასუხესთან და გასცა სესხი, რაც უნდა ჩაითვალოს მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებად დოკუმენტში მითითებული პირობებით.

² კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, გვ.65

1.1 თავდებობა და მისი სახეები

თავდებობის სახეებზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას მის შემდეგ ფორმებს. სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს, ერთი მხრივ, ჩვეულებრივ (სტანდარტულ) და სოლიდარულ თავდებობას (895), მეორე მხრივ, წინამორბედ და შემდგომ თავდებობას და, მესამე მხრივ, – ვადიან და უვადო თავდებობას.

ჩვეულებრივი (სტანდარტული) თავდებობის შემთხვევაში კრედიტორმა ჯერ უნდა სცადოს უშუალოდ მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულება. მანამდე, სანამ კრედიტორი ამოწურავს მოვალისაგან დაკმაყოფილების საშუალებებს, თავდებს შეუძლია უარი თქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თუმცა, პრაქტიკაში ჩვეულებრივი (სტანდარტული) თავდებობა ძალიან იშვიათია. უფრო გავრცელებულია თავდებობის ხელშეკრულებები სოლიდარული თავდებობის კისრებით (სოლიდარული თავდებობა). ამ შემთხვევაში კრედიტორს აღარ სჭირდება მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობა; იგი უფლებამოსილია, უშალოდ მოსთხოვოს თავდებს ვალდებულების შესრულება. პრაქტიკაში, როგორც წესი, კრედიტორი სასამართლოში ერთდროულად ედავება ძირითად მოვალესა და თავდებს და ეს უკანასკნელები სასამართლო დავაში გამოდიან როგორც თანამოპასუხეები.³

³ კერესელიძე დ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7/2004-1.

თუ პირი თავდებად უდგება კრედიტორის სხვა თავდებას, ადგილი აქვს ე. წ. შემდგომ თავდებობას (თავდების თავდებობა). იმ თავდებას, ვისაც თავდებად უდგება თავის მხრივ შემდგომი თავდები, კანონი უწოდებს წინამორბედ (ან ძირითად) თავდებას. კანონი ითვალისწინებს შემდგომი თავდების პასუხისმგებლობას წინამორბედ თავდებთან ერთად ისე, როგორც ჩვეულებრივი (სტანდარტული) თავდებობის შემთხვევაში თავდები პასუხისმგებელია ძირითად მოვალესთან ერთად.

თავდებობის მოქმედება შეიძლება შეიზღუდოს დროით. თუ თავდებობის ხელშეკრულებით მხარეები განსაზღვრავენ თავდებობის ვადას, მაშინ იგი მოქმედებს ამ ვადის განმავლობაში; შესაბამისად, ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ავტომატურად წყდება მხარეთა დამატებითი შეთანხმების ან შეწყვეტის განცხადების გარეშე. ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა კანონი ადგენს ზღვრულ ვადას - 5 წელს, რომლის გასვლის შემდეგაც თავდებობის ხელშეკრულება მიიჩნევა განუსაზღვრელი ვადით დადებულიად და მისი შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენით შეწყვეტის სამთვიანი ვადით დაცვით. თუ თავდებობის ხელშეკრულებით მხარეები არ განსაზღვრავენ თავდებობის ვადას, მაშინ სახეზეა უვადო თავდებობა. უვადო თავდებობის შემთხვევაში თავდები ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადა.

თავდებობას გარკვეული მსგავსება აქვს სამოქალაქო სამართლის სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით, კუმულატიურ ვალის გადაკისრებასთან. კუმულატიური ვალის გადაკისრების ხელშეკრულება იდება ძველ და ახალ მოვალეებს შორის, რომლითაც ახალი მოვალე კისრულობს ვალდებულებას და თანამოვალის სახით შემოდის ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ისე, რომ ძველი მოვალე არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან; ეს უკანასკნელი რჩება ვალდებული კრედიტორის წინაშე. საერთო კუმულატიურ ვალის გადაკისრებასა და სოლიდარულ თავდებობას აქვს ის, რომ ორივე შემთხვევაში

კრედიტორს უშუალო მოთხოვნის უფლება აქვს როგორც ახალი მოვალის, ისე სოლიდარული თავდების მიმართ. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული მსგავსებისა, კუმულატიური ვალის გადაკისრება მაინც არსებითად განსხვავდება თავდებობისაგან: დოგმატური თვალსაზრისით თავდები კისრულობს თავდებად დადგეს სხვისი ვალისათვის, როდესაც კუმულატიური ვალის გადაკისრებით ახალი მოვალე ვალს კისრულობს როგორც თავის საკუთარს. მაგრამ ხშირ შემთხვევებში მხარეები ვერ აცნობიერებენ ამ სხვაობას; შესაბამისად, ნაკლებად თუ შეიძლება მათი განმარტებების სიტყვასიტყვითი გაგებიდან იმ დასკვნის გაკეთება: სახეზე არის ვალის გადაკისრება თუ თავდებობა. ამიტომ გერმანული სამართლის მეცნიერებამ შეიმუშავა ე. წ. „ეკონომიკური სხვაობის კრიტერიუმი“. ამ კრიტერიუმის თანახმად, ვალის გადაკისრების წინაპირობაა ახალი მოვალის საკუთარი ეკონომიკური ინტერესი, როდესაც თავდებს ასეთი ინტერესი არა აქვს.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი ამ გარიგებათა ფორმის მიმართაც: თავდებობა თავისი ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებას (წერილობით განცხადებასთან ერთად), როდესაც ასეთი ფორმის დაცვა კუმულატიური ვალის გადაკისრების გათვალისწინებული არ არის. საბანკო გარანტიის შემთხვევაშიც, მსგავსად თავდებობისა, ადგილი აქვს წერილობითი ფორმით ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების კისრებას, თუმცა, აღნიშნულ გარიგებებს შორის განსხვავებაც ძალიან დიდია. უპირველეს ყოვლისა, თავდებობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგებაა და მისი ნამდვილობისათვის საკმარისია მხოლოდ გარანტის გამცემის ნების გამოვლენა. გარდა ამისა, საბანკო გარანტიის გაცემა შეუძლია მხოლოდ საფინანსო ინსტიტუტს - ბანკს, სხვა საკრედიტო დაწესებულებას ან სადაზღვევო ორგანიზაციას, მაშინ როდესაც თავდები

შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. თავისი სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია არ არის აქცესორული.⁴

1.2 თავდებობა და სხვა ინსტიტუტები (შედარებითი ანალიზი)

ვალის თავის თავზე ამღები სუბიექტი თავდები არ არის. იგი ვალდებულების შესრულებას კისრულობს და, ამასთან, მითითებულ ვალდებულებას თავისად მიიჩნევს. მას აღნიშნული ვალდებულების მიმართ საკუთარი სამართლებრივი თუ ეკონომიკური ინტერესი აქვს.

საეჭვოობის შემთხვევაში ადგილი აქვს თავდებობას, თუ ვალის საკუთარ თავზე აღებას საკითხი თავდებობის სასარგებლოდ წყდება. ვალის თავის თავზე აღების დროს ვალის გადაკისრება ხდება, შესაბამისად, ვალის თავის თავზე აღების ნამდვილობისათვის აუცილებელია კრედიტორის თანხმობა, რადგან ასეთ ვითარებაში კრედიტორის წინაშე შესრულებაზე ვალდებულ სუბიექტად ვალის თავის თავზე ამღები სუბიექტი რჩება. თუ ვალის თავის თავზე აღებას კრედიტორი არ დაეთანხმა, ასეთ ვითარებაში ვალის თავის თავზე ამღები პირი ძირითად მოვალესთან ერთად კრედიტორის წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს. შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვნა წარუდგინოს როგორც მოვალეს, ასევე ვალდებულების თავის თავზე ამღებ სუბიექტს სოლიდარულად.

⁴ ალექო ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), www.library.court.ge

გარანტიასთან დაკავშირებული ხელშეკრულება თავდებობისაგან განსხვავდება. გარანტიის ხელშეკრულების შემთხვევაში, გარანტი ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად კისრულობს მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულებას ან, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებას. ამ მიმართებით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ საბანკო გარანტია (bank guarantee) და საგარანტიო წერილი (letter of credit). აღნიშნულ ორ ინსტიტუტს შორის არის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. საგარანტიო წერილი უზრუნველყოფს დაგეგმილი ტრანზაქციის (გადახდის) ერთჯერად განხორციელებას, მაშინ, როდესაც საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის დანაკარგის შემცირებას ან თავიდან აცილებას, თუ დაგეგმილი ტრანზაქცია (შესრულება) მოვალემ არ განახორციელა. საგარანტიო წერილის (letter of credit) შემთხვევაში, შეთანხმებული წინაპირობების არსებობისას, ბანკი კრედიტორის მიმართ გადახდას (შესრულებას) ახორციელებს, მაშინ როდესაც საბანკო გარანტიის არსებობის შემთხვევაში ბანკი შესრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ახორციელებს, თუ მოვალემ (პრინციპალმა) კრედიტორის (ბენეფიციარის) წინაშე ვალდებულება არ შეასრულა.

საგარანტიო წერილი ბანკის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული წერილობითი გარანტიაა მასზე, რომ იგი ვალდებულების შესრულების დადასტურების შემთხვევაში განახორციელებს გადახდას. საბანკო გარანტია კი ბანკის მიერ ნაკისრი ვალდებულებაა, განახორციელოს გადახდა იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა. ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს აკრედიტივი და საბანკო გარანტია. აკრედიტივი საბანკო გარანტიისაგან იმით განსხვავდება, რომ აკრედიტივის შემთხვევაში აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ

გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო მპირობები.⁵

რაც შეეხება საბანკო გარანტიას, საბანკო გარანტიით, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. ამდენად, აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება აკრედიტივის გამხსნელის დავალებით რემიტენტს (მესამე პირს) უხდის ფულად თანხას, მაშინ, როდესაც გარანტი ბენეფიციარს მხოლოდ მაშინ უხდის თანხას, როდესაც პრინციპალი ნაკისრ ვალდებულებას არღვევს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტია არააქცესორული, დამოუკიდებელი გარიგებაა, მისი გაცემა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევაზეა დამოკიდებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა შორის უპირობო გარანტიაა შეთანხმებული, რა დროსაც გარანტია იმ გარემოების კვლევის (მითითების) გარეშე გაიცემა, პრინციპალმა ვალდებულება დაარღვია თუ არა.

თავდებობა საბანკო გარანტიისაგან იმით განსხვავდება, რომ თავდებობა აქცესორული ბუნებით ხასიათდება, მაშინ, როდესაც საბანკო გარანტია დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. იგი ძირითად ვალდებულებაზე მიბმული არ არის. მას არც სუბსიდური ბუნება არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბენეფიციარი გარანტს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევისთანავე მიმართავს. რაღა თქმა უნდა, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ხასიათი თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მის გამოყენებას წინაპირობები არ გააჩნია. მისი

⁵ სახელშეკრულებო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2014წ, USAID, გვ. 76

გამოყენების წინაპირობა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევაა, შესაბამისად, მისი გამოყენება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პინციპალი ვალდებულებას არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს გარდა იმ შემთხვევებისა, თუ სახეზე არ გვაქვს უპირობო გარანტია, რომლის დროსაც გარანტი ბენეფიციარს მოთხოვნისთანავე აკმაყოფილებს, მიუხედავად იმისა, პრინციპალმა ვალდებულება დაარღვია თუ არა. ამიტომაც უპირობო გარანტია აკრედიტივის მსგავს ინსტიტუტად განიხილება და, ხშირ შემთხვევაში, მათი მახასიათებლების ურთიერთგამიჯვნა ძნელდება. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად გარანტის დამოუკიდებელი ბუნებისა, გარანტმა პრინციპალთან კონტაქტი უნდა შეინარჩუნოს, რომელსაც ბენეფიციარისაგან მიღებული მოთხოვნის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს.

იმისათვის, რომ გარანტმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს, აუცილებელია, დადგეს ის შემთხვევა, რომლის დადგომის მიზნებისათვისაც გარანტია შეთანხმდა. გარანტის მიერ ბენეფიციარის წინაშე ვალდებულების პირობებში საგარანტიო შემთხვევის მატერიალურსამართლებრივი მხარე არ მოწმდება. გარანტია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ფორმალურპროცედურულად გარანტი იმ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რომლებიც საგარანტიო პირობებით შეთანხმდა. მაგალითისათვის, ქართული კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა. მართალია, გარანტი მატერიალურსამართლებრივად ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტს არ ამოწმებს, თუმცა, გარდა ფორმალურ-პროცედურული პირობების შემოწმებისა, თუ

ბენეფიციარი აშკარად არაკეთილსინდისიერად იქცევა და ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიუხედავად გარანტისაგან შესრულებას მაინც ითხოვს, ასეთ შემთხვევაში გარანტმა ბენეფიციარს თანხა არ უნდა გადაუხადოს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ გარანტი განხორციელებულ შესრულებას, რეგრესის წესით, პრინციპალისაგან ინაზღაურებს, თუმცა, თუ გარანტმა შესრულება გარანტის პირობების საწინააღმდეგოდ ან, ზოგადად, კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევით განახორციელა, პრინციპალი გარანტის წინაშე რეგრესული ანაზღაურების ვალდებულებისაგან თავისუფლდება.⁶

ასეთ შემთხვევაში გარანტი გადაცემულის უკან დაბრუნებას უსაფუძვლოდ გამდიდრებული ბენეფიციარისაგან მოითხოვს. ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით განმარტებულია, რომ, მიუხედავად საბანკო გარანტიის კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი (არააქცესორული) ბუნებისა და მისი დამოუკიდებლობისა ძირითადი ვალდებულებისაგან, მისი გაცემის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ასევე ორ მნიშვნელოვან წინაპირობას, კერძოდ, ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს და მისი წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში.

მითითებული წესი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია,

⁶ ახვლედიანი ზ. 1999, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, გვ. 134

კანონი გარანტიისათვის ფულადი თანხის გაცემის დამოუკიდებელ ვალდებულებას აწესებს, თუმცა გარანტი მაინც ვალდებულია, ბენეფიციარისათვის თანხის გადახდამდე, გონივრული წინდახედულობის ფარგლებში, შეამოწმოს თანხის გადახდის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის საფუძვლები და გარანტიის ვადა, ვინაიდან კანონი გარანტიის სახით გაცემულ ფულად თანხას არამართლზომიერად მიიჩნევს, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის გაცემის თაობაზე გარანტიის პირობებს არ შეესაბამება. შესაბამისად, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გაცემული ფულადი თანხის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის უნდა დადგინდეს გარანტიის ხელშეკრულების პირობები და მისი მოქმედების ვადა. ამ მიმართებით უნდა განიმარტოს, რომ არსებობს საბანკო გარანტიის არაერთი სახე.

1.3 თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა

თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის გარიგების ნამდვილობის ზოგადი წესები მოქმედებს. თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი ფორმის ნაკლის, არსებითი პირობების ბუნდოვანების ან კიდევ თავდების ქმედუნარობის, ან შეზღუდული ქმედუნარიანობის საფუძვლით¹⁰. თავდებობის ნამდვილობა, როდესაც უზრუნველყოფილი შესრულების ღირებულება თავდების ქონებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვანწილად აღემატება, გარიგების ამორალურობის კონტექსტში შეიძლება შემოწმდეს. მაგალითისათვის, როდესაც მოვალე თავის ვალდებულებას საკუთარი დამოუკიდებელი შემოსავლების არმქონე ოჯახის წევრების თავდებობით უზრუნველყოფს. სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც შემოსავლის არმქონე ოჯახის წევრების თავდებობა,

სამოქალაქო კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად იქნა მიჩნეული და ბათილად იქნა ცნობილი.⁷

თავდებობის ამორალურობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: აშკარა შეუსაბამობა თავდებობით უზრუნველყოფილ თანხასა და თავდების გადახდისუნარიანობას შორის, მაგალითისათვის, როდესაც თავდებს, მინიმუმ, იმ ოდენობით შემოსავალი არ აქვს, რომლითაც პერიოდულად ვადამოსულ დავალიანებას, თუნდაც პროცენტს დაფარავს.

თავდებობის ხელშეკრულება თავდებსა და კრედიტორს შორის იდება. მითითებული ხელშეკრულება კრედიტორს არამოვალე პირის მიმართ მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს. აღნიშნული ხელშეკრულებით დასტურდება თავდების ვალდებულება, შეასრულოს მესამე პირის მოვალეობა და არა თავისი ვალდებულება. ეს არსებითი გარემოებაა, ვინაიდან თავდებობის მითითებულ ნორმატიულ შინაარსზე დაყრდნობით, ვალდებულებაზე საბოლოოდ პასუხისმგებელ სუბიექტს მოვალე წარმოადგენს და არა თავდები, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავდები ძირითადი მოვალის წინაშე ვალდებულებას შეასრულებს, თავდებს, რეგრესის წესით, ძირითადი მოვალისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა. ამდენად, თავდებობის ხელშეკრულების მონაწილე პირებს კრედიტორი, თავდები და ძირითადი მოვალე უნდა წარმოადგენდნენ. თუმცა მითითებულ დანაწესს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის შესაბამისად, თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება.

⁷ ბიჭია მ., ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, მართლმსაჯულება და კანონი N4(43)'14, გვ. 42-65;

შესაბამისად, კანონი თავდებობის ნამდვილობისათვის მხოლოდ თავდების წერილობით განცხადებას ასახელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდებობა ცალმხრივი მიღებასავალდებულო გარიგებაა, რომლის ნამდვილობისთვისაც კანონი მარტივ წერილობით ფორმას ითხოვს. კრედიტორის მიერ აღნიშნული ნების მიღების წერილობით (ხელმოწერით) დადასტურების ვალდებულებას კანონი არ აწესებს. საკმარისია თავდების წერილობით გამოხატული ნების კრედიტორამდე მისვლა.

რაც შეეხება თავდებობის დოკუმენტში ზღვრული თანხის მითითებას, აღნიშნული პირობა თავდებობის არსებით პირობას წარმოადგენს და სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობაზე ახდენს გავლენას, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ თავდებობის ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა მითითებული არ არის, ამგვარი ხელშეკრულება ბათილად მიიჩნევა.

„სუბსიდიურით თავდებობის“ ცნებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს. თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები განმარტავს თავდებისა და სოლიდარული თავდების ფუნქციურ დანიშნულებას და მის მიმართებას კრედიტორსა და ძირითად მოვალესთან. შინაარსობრივი სხვაობის უკეთ დანახვის მიზნით, სასურველია თავდები სახელდებულ იქნეს „სუბსიდურ თავდებად“, რათა იგი მკვეთრად გაიმიჯნოს სოლიდარული თავდებისაგან. თავდებობის სუბსიდიურით ხასიათი ვლინდება იმაში, რომ თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. თავდების მითითებული შესაგებელი თავდების უფლებაა, შესაბამისად, იგი შეიძლება დაეთანხმოს მის მიმართ მოთხოვნას და არ გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებელი, ვინაიდან აღნიშნული შესაგებლის გამოყენება თავდებისათვის შეიძლება ზიანის მომტანი იყოს. მაგალითისათვის, თუ თავდები დარწმუნებულია, რომ მოვალე გადახდისუუნაროა, მის მიმართ იძულებითი

ღონისძიებების წარმოება დამატებით აღსრულების ხარჯებს მოითხოვს, რომელზეც პასუხისმგებლობა თავდება დაეკისრება.

კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოთხოვნა მხოლოდ სოლიდარულ თავდებას წარუდგინოს. თუმცა, არც სოლიდარული თავდებააა უპირობო. სოლიდარული თავდებას მიმართ წარდგენილი მოთხოვნა საფუძვლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ ძირითადად მოვალემ ვალდებულება დაარღვია და იგი ვალდებულების შესრულების თაობაზე უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა არ არსებობს გაფრთხილების ვალდებულება, თუ მისი გადახდისუუნარობა აშკარაა. საპროცესოსამართლებრივად, თავდებას მიმართ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში მოსარჩელემ (კრედიტორმა) უნდა დაადასტუროს ვალდებულების დარღვევისა და მოვალის უშედეგოდ გაფრთხილების ფაქტი ან გარემოება, რომელიც გაფრთხილების აუცილებლობას გამორიცხავს, მაგალითად, მოვალის გადახდისუუნარობა.

პრაქტიკაში, როგორც წესი, უფრო ხშირად სოლიდარული თავდებაობის ინსტიტუტი გამოიყენება. თავდებაობის სოლიდარული ხასიათი კრედიტორს მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს როგორც სოლიდარული თავდებას, ასევე ძირითადი მოვალის მიმართ, საკუთარი არჩევით, რომელიმე მათგანის მიმართ წინმსწრები იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე. მითითებულ არჩევანს პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რასაც ხშირად ბანკები და სხვა საფინანსო ორგანიზაციები მიმართავენ.⁸

შედეგობრივი თვალსაზრისით, სოლიდარული თავდებას პასუხისმგებლობა სოლიდარულია ძირითად მოვალესთან ერთად კრედიტორის წინაშე, რაც შეეხება სოლიდარული თავდებასა და ძირითადი მოვალის ერთმანეთს შორის

⁸ ჩაჩავა ს., ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების მოშლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის სამოსამართლო სამართლით სრულყოფის მექანიზმები, შრომის სამართალი I (სტატიათა კრებული), თბილისი, 2011, გვ. 35-66;

ურთიერთობას, იგი სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელი რეგულაციებით არ წესრიგდება. სოლიდარულ თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობა ძირითადი ვალდებულების შესრულების შემდეგ ერთმანეთის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლზე დაყრდნობით რეგულირდება, რომლის მიხედვითაც, თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. სოლიდარულ თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობაზე არ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის დანაწესი, რომლის შესაბამისადაც, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით. ამდენად, თავდები, მიუხედავად იმისა, იგი სოლიდარულია, თუ სუბსიდიური, ძირითად ვალდებულებასთან მაინც აქცესორულად არის დაკავშირებული.

კიდევ ერთი გარემოება, რაც თავდებობას უკავშირდება, მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს, მისი როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების რანგირებული ურთიერთმიმართება სანივთოსამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებთან. დღევანდელი მდგომარეობით, სრულად გაზიარებული გაბატონებული შეხედულების თანახმად, თავდებობა და სანივთო უზრუნველყოფა კანონით თანაბარსაფეხურიანი უზრუნველყოფის საშუალებებია. შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვნა დააკმაყოფილოს როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებითსამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებიდან.⁹

⁹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014, 759 გვ;

ერთის გამოყენება არ გამორიცხავს უზრუნველყოფის მეორე ღონისძიების გამოყენებასაც, თუ უზრუნველყოფის ერთი ღონისძიებით ვალდებულება სრულად არ შესრულდა. მაგალითისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შედეგად ვალდებულება სრულად არ იფარება, ვალდებულება შეწყვეტილად არ ითვლება, თუ აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სხვა საშუალება არსებობს. მითითებული პრინციპი მოქმედებს მაშინაც, როდესაც იპოთეკის ხელშეკრულებაში არ არსებობს დათქმა იპოთეკის საგნის არასაკმარისობის შემთხვევაში აღსრულების მოვალის სხვა ქონებაზე მიქცევის თაობაზე ვალის პატიება ძირითადი მოვალისათვის ათავისუფლებს თავდებ პირებსაც. თავდების გათავისუფლება ვალის გადახდისაგან არ ათავისუფლებს ძირითად მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან. ერთ-ერთი თავდების გათავისუფლება ვალის გადახდისაგან, ათავისუფლებს სხვა თავდებ პირებსაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ვალის პატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას, სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. იგი ორმხრივი შეთანხმებაა და მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური სამართლით რეგულირებული შედეგის მიღწევას - მიუღებელი შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლებას“.

კრედიტორის ნების შეფასება ვალის პატიებად ნათელი და არაორაზროვანი უნდა იყოს. ამასთან, უნდა დგინდებოდეს, კრედიტორმა ვალი მოვალეს აპატია თუ თავდებს. თუ ვალი თავდებს აპატია, კრედიტორმა მოთხოვნა სხვა თავდებების მიმართ დაიტოვა თუ არა. საკასაციო პალატის განმარტებით, „როდესაც მხარე უარს აცხადებს სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე, თუ მხარეთა ნება არ იქნება მიმართული სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაზე, არ შეიძლება ვალის პატიების

სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით დადგინდეს... მოსარჩელის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება არც მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ვალის პატიებას, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა, რომ სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის ვალის პატიება, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

როგორც საპროცესო, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ ერთი სოლიდარული თავდებისათვის გულისხმობს თუ არა დანარჩენი სოლიდარულად მოვალე სუბიექტების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. როგორც წესი, მხარე იყენებს უფლებას, მოთხოვნა მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ წარადგინოს, რომელსაც ქონება გააჩნია. აღნიშნული გარემოება, როგორც წესი, არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თავდებებს) ვალს პატიობს. კრედიტორი მხოლოდ შესაძლებლობას იყენებს, სამართლებრივი დავა ლიკვიდური მოვალის მიმართ აწარმოოს. ამიტომ სასამართლოს დასკვნა, რომ ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის აღძვრა ან, თუნდაც მორიგება, სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თავდებებს) ვალდებულებისაგან ათავისუფლებს, მცდარია. ამგვარი დასკვნა მხოლოდ კრედიტორის ნების კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს. საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველთვის მიზანშეწონილია, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის (თავდების) მიმართ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სხვა სოლიდარული მოვალეები (თავდებები) მესამე პირად იქნენ სამართალწარმოების პროცესში ჩართულნი, რადგან აღნიშნული

სამართალწარმოება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს, რადგან აღნიშნული წარმოების მოვალეს მათ მიმართ რეგრესის წესით მოთხოვნის უფლება უჩნდება, თუ, რაღა თქმა უნდა, კრედიტორმა მათ მიმართ მოთხოვნაზე უარი არ განაცხადა (ვალის პატიება).¹⁰

თავი II .თავდებობის ხელშეკრულების შინაარსი და ფორმა

თავდებობის ხელშეკრულებით თავდები ვალდებულებას კისრულობს, მოვალის (და არა თავისი) ვალდებულება შეასრულოს. თავდების მოტივს, თუ რატომ იღებს იგი მესამე პირის მიმართ ვალდებულებას, თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თავდებობის არსიდან გამომდინარე, თავდებს ვალდებულების შესრულების შემდეგ, ძირითადი მოვალისაგან უკუმოთხოვნის უფლება აქვს. უკუმოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ თავდები მოვალის ხანდაზმულ მოთხოვნას შეასრულებს. უკუმოთხოვნის საპირისპიროდ შეიძლება წარდგენილ იქნეს შესაგებელი (უკუმოთხოვნის გამომრიცხველი გარემოება), კერძოდ კი, თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის გარიგება, მაგალითად, ე.წ. „უფასო თავდებობის“ თაობაზე, ასევე ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ და ა. შ.

ხშირად სადავოა ისეთ თავდებობათა ნამდვილობა, როდესაც თავდების ქონება ძირითად ვალდებულებას არ უზრუნველყოფს, მაგალითისათვის, როდესაც თავდებობით უზრუნველყოფილი თანხა თავდებობით უზრუნველყოფილ ქონებას ბევრად აღემატება. თავდებობის ხელშეკრულება წერილობით ფორმას მოითხოვს. თავდებობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმა ისეთ არსებით პირობებს უნდა

¹⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 457 გვ;

ასახავდეს, როგორცაა, მაგალითად, კრედიტორის დასახელება, რომლის მიმართაც თავდები მოვალის ვალდებულების შესრულების მოვალეობას კისრულობს და მოვალის დასახელება, რომლის ვალდებულებაც თავდებობითაა უზრუნველყოფილი. თავდებობის არსებით პირობას წარმოადგენს ასევე თავდებობის ზღვრული თანხა, რომლის ფარგლებშიც თავდები კრედიტორის წინაშე ვალდებულებას კისრულობს. თავდებობის აღნიშნული პირობები თავდებისათვის დაცვითი ფუნქციის მატარებელია.

თავდებობის ფორმის ნაკლს შესრულება ასწორებს თავდებობის ზღვრული თანხა თავდებობის ხელშეკრულების ფორმის ნაკლად განიხილება. თავდებობის ფორმის ნაკლი არ აღმოიფხვრება მხარის მითითებით მასზე, რომ იგი თავდებია და მისი პასუხისმგებლობა ზეპირი ურთიერთშეთანხმებით, სესხის ზღვრული თანხით არის შემოფარგლული. ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის, თუ ვინმე თავდებობის შესახებ თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განაცხადებს. ფორმის დაცვის აუცილებლობა მდგომარეობს ასევე იმაში, რომ თავდებობა გაიმიჯნოს სხვისი ვალის აღიარების ინსტიტუტისაგან, რომელიც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. სხვისი ვალის აღიარების ნორმატიულ რეგულირებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, არ შეიცავს. ორივე შემთხვევაში სხვისი ვალის აღიარებას სასამართლო პრაქტიკა არეგულირებს სხვისი ვალის აღიარების დროს მესამე პირი კრედიტორის წინაშე კისრულობს იმ ვალდებულების შესრულების მოვალეობას, რომელიც მის პირად ვალდებულებას (მოვალის ვალი) არ წარმოადგენს. მაგალითისათვის, როდესაც ორ პირს შორის არსებობს ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა და მესამე პირი კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულების შესრულების მოვალეობას თავის თავზე იღებს. ასეთ შემთხვევაში კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის, ვინაიდან ადგილი არ აქვს მოვალის შეცვლას, მის ჩანაცვლებასა და ვალის მესამე პირისათვის გადაკისრებას, უფრო

მეტიც, ასეთ შემთხვევაში სახეზეა სოლიდარული ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს როგორც მოვალეს ან მესამე პირს, ასევე ორივე მათგანს სოლიდარულად.

სხვისი ვალის აღიარება თავდებობისაგან მკვეთრად განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტია, ვინაიდან თავდებობას ძირითად ვალდებულებასთან აქცესორული ბმა და სუბსიდიალური ხასიათი გააჩნია. იგივე არ შეიძლება ითქვას სოლიდარულ თავდებობაზე. სხვისი ვალის აღიარებასა და სოლიდარულ თავდებობას შორის მეტი მსგავსებაა, მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათი, თუმცა, არსებობს განსხვავებაც, მაგალითისათვის, თავდებობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა, თავდებობის ზღვრული თანხის გათვალისწინება და ა. შ. გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მთავარი განსხვავება იმაშია, თუ რა ინტერესი აქვს, ერთი მხრივ, თავდებს და, მეორე მხრივ, მესამე პირს მოვალის ვალდებულების დაფარვის მიმართ. როგორ წესი, მესამე პირი სოლიდარული თავდებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას შესრულების მიმართ საკუთარი ეკონომიკური ინტერესი გააჩნია, მაგალითისათვის, როცა, მესამე პირი აღნიშნული შესრულებით მოვალის მიმართ თავის ვალდებულებას ფარავს. თავდებს კი, როგორც წესი, შესრულების მიმართ თავისი დამოუკიდებელი ინტერესი არ გააჩნია. მისი შესრულება მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ინტერესებშია. თავდებობა კი მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება. თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულება აქცესორული ბუნებისაა. შესაბამისად, მისი არსებობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.¹¹

თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდების ვალდებულება,

¹¹ ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, 305 გვ;

შეასრულოს კრედიტორის წინაშე მესამე პირის ვალდებულება, დამოკიდებულია სამომავლო ან/და პირობითი ვალდებულების დადგომაზე. ძირითადი ვალდებულების ბათილობის შემთხვევაში თავდების ვალდებულება არ წარმოიშობა. შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების ბათილობის პირობებში მოვალის კონდიქციურ ვალდებულებას თავდებობა არ უზრუნველყოფს. თავდებობა უზრუნველყოფს ძირითად ვალდებულებას თავდებობის ზღვრული თანხის ფარგლებში. ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია თავდებობის გავრცელება მოვალის ბრალით გაზრდილ ვალდებულებაზე (პირგასამტეხლო, ვადაგადაცილების პროცენტი, შესრულების ნაცვლად ზიანი და ა. შ.), თუმცა, მხოლოდ თავდებობის ზღვრული თანხის ფარგლებში. გარიგების საფუძველზე პასუხისმგებლობის ფარგლების შემდგომში გაფართოება თავდების მიმართ არ ვრცელდება.

გარიგებით პასუხისმგებლობის შემცირება კი პირიქით, თავდების სასარგებლოდ დაუყოვნებლივ მოქმედებს. თავდებობის გავრცელება ახალი გარიგებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე დაუშვებელია, ისევე როგორც სანივთო-სამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებების გავრცელება დაუშვებელი ახალ, მათ შორის, ახალი პირობებით რესტრუქტურირებულ გარიგებებზე.

თავდებობის აქცესორული ბუნება ვლინდება ასევე იმაში, რომ კრედიტორის მიერ მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში მოთხოვნა კვლავ თავდებობით უზრუნველყოფილი რჩება. იგივე წესი არ მოქმედებს ძირითადი მოვალის შეცვლის შემთხვევაში. ვალდებული პირის ცვლილება (ვალის გადაკისრება) თავდების თანხმობის გარეშე დაუშვებელია. თავდების თანხმობის გარეშე ვალის გადაკისრების პირობებში თავდების პასუხისმგებლობა ახალი მოვალის ვალდებულებებზე აღარ ვრცელდება.

თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, თავდებს ყველა იმ შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს, რაც ძირითად მოვალეს გააჩნია, მაშინაც, როცა ძირითად მოვალეს აღნიშნულ შესაგებლებზე უარი აქვს ნათქვამი. თავდებს შეუძლია

უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას.

იგივე წესი ვრცელდება მაშინაც, თუ ძირითად მოვალეს კრედიტორის მიმართ აღმჭურველი უფლებები, მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლის, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის და ა. შ. უფლება აქვს.

თუმცა, მითითებულ უფლებათა გამოყენება თავდებს პირადად არ შეუძლია. მას უფლება აქვს, მხოლოდ უარი თქვას თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე. თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამონაკლისს წარმოადგენს წესი, რომლის მიხედვითაც, თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვალა, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე. მემკვიდრის შეზღუდული პასუხისმგებლობის წესი გამომდინარეობს

მისი პასუხისმგებლობიდან მხოლოდ მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში. იგივე წესი ვრცელდება თავდების მიმართ, თუ ძირითადი მოვალე გადახდისუნარობის რეჟიმში აღმოჩნდება.

აღნიშნული გარემოებები თავდების პასუხისმგებლობას არ ამცირებს. მითითებული

გამონაკლისი აიხსნება თავად თავდებობის მიზნიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, თავდებმა მთელი თავისი ქონებით უზრუნველყოს კრედიტორი იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მოვალე კრედიტორს ვერ უზრუნველყოფს. თავდებობის აქცესორული ბუნების კონტექსტში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს თავდებობა სოლიდარული თავდებობისაგან. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სოლიდარული თავდებობისა, თავდებობას მაინც აქცესორული ბუნება გააჩნია და ისევეა დაკავშირებული ძირითად ვალდებულებასთან, როგორც ჩვეულებრივი თავდებობის შემთხვევაში. სოლიდარული თავდებობის დროს კრედიტორს სოლიდარული თავდების მიმართ,

ძირითადი მოვალისაგან ყოველგვარი იძულებითი აღსრულების გარეშე, შეუძლია მოთხოვნის წარდგენა. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც თავდებობის აქცესორული ხასიათი შენარჩუნებულია და სოლიდარული თავდებობა არსებობს იქამდე, სანამ არსებობს ძირითადი ვალდებულება. შესაბამისად, სოლიდარული თავდების მიერ მოვალის დაკმაყოფილება თავდებს მოვალის მიმართ უკუმოთხოვნის უფლებას წარმოუშობს.¹²

2.1 თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა

თავდებობის შეწყვეტის მიმართ ვალდებულების შეწყვეტის ზოგადი წესები მოქმედებს, რაღა თქმა უნდა, თავდებობის მომწესრიგებელი ნორმების სპეციფიკის გათვალისწინებით. თავდებობის აქცესორული ბუნების გამო თავდებობა ძირითადი ვალდებულების შეწყვეტაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, თავდებობა ძირითადი ვალდებულების შეწყვეტით წყდება. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის მიუხედავად კი, თავდებობა შეიძლება შეწყდეს ან თავდების პასუხისმგებლობა შემცირდეს, თუ კრედიტორმა თავდების საზიანოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები შეამცირა. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების თავდების საზიანოდ შემცირებად კი მიჩნეულ უნდა იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა სანივთოსამართლებრივი საშუალებების შემცირება, მაგალითად, ქონების გირავნობის ან იპოთეკისაგან გამოთავისუფლება.

ამგვარი შედავათები თავდების საზიანოდ მოქმედებს ძირითადად მაშინ, როდესაც სახეზეა სუბსიდიალური თავდებობა, ანუ, როდესაც თავდებს გააჩნია შესაგებელი,

¹² ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2014, გვ. 44-54;

რომლის მიხედვითაც, მისგან აღსრულება ძირითადი მოვალისაგან აღსრულების გარეშე ვერ განხორციელდება.¹³

სოლიდარული თავდებობის დროს კი აღსრულების რიგითობას ადგილი არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, მიუხედავად სანივთო სამართლებრივი უზრუნველყოფებისა, კრედიტორმა აღსრულება პირდაპირ სოლიდარული თავდებისაგან დაიწყოს. თუმცა ამ შემთხვევაშიც სოლიდარული თავდების მდგომარეობა უარესდება, ვინაიდან თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში მასზე იპოთეკით ან გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა გადადის, შესაბამისად, თუ კრედიტორს იპოთეკასა და გირავნობაზე უარი აქვს ნათქვამი, თავდები მოთხოვნას არაუზრუნველყოფილი სახით იძენს.

თუმცა იპოთეკა, გირავნობა და თავდებობა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებია, რომლებზეც სოლიდარული უზრუნველყოფის პრინციპი მოქმედებს. თავდებს თავდებობისაგან გათავისუფლების მოთხოვნის, უფლებას წარმოუშობს ასევე მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა თავდებს წარმოეშობა მოვალის და არა კრედიტორის მიმართ. ასეთ შემთხვევაში მოვალე ვალდებულია, კრედიტორის წინაშე ვალდებულება შეასრულოს ან თავდებს მოთხოვნის უზრუნველყოფა შესთავაზოს.

თუ მოვალის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა, მეტად სავარაუდოა, რომ მოვალე ვალდებულებას ვერ შეასრულებს და, შესაბამისად, ვერც დამატებით უზრუნველყოფას შესთავაზებს, შესაბამისად, თავდების მოთხოვნა მოვალის მიმართ მისი კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე, როგორც წესი, განუხორციელებელი რჩება. თავდებობა შეწყვეტილად უნდა იქნეს მიჩნეული ასევე ვალის გადაკისრების შემთხვევაში, ვინაიდან პიროვნული უზრუნველყოფის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავდები კონკრეტული მოვალის

¹³ პელეგრინო მ., სუბიექტური თუ ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა? საიუბილეო კრებული `სერგო ჯორბენაძე – 70`, თბ., 1996, გვ. 47

ვალდებულებას უზრუნველყოფს. მოვალის შეცვლა კი, თავდების თანხმობის გარეშე, თავდების ვალდებულებას წყვეტს. თუმცა იგივე წესი არ უნდა გავრცელდეს მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, ვინაიდან ასეთ ვითარებაში მოვალის ადგილს მისი მემკვიდრე იკავებს, რომელიც მამკვიდრებლის აქტივის ფარგლებში მის უფლებამონაცვლედ გვევლინება.

თავდების ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობაა ასევე თავდებობის ვადის ამოწურვა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავდებობა ინდივიდუალურად განსაზღვრული ან ხელშეკრულების მოქმედების ვადით იდება. თავდებობის ან ხელშეკრულების ვადის გასვლა კი თავდებობის შეწყვეტის წინაპირობაა.

თავდების ინიციატივით თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია უვადო ხელშეკრულების არსებობის პირობებში. ასეთ ვითარებაში თავდებისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვა მძიმე ტვირთად დააწვებოდა მას, რადგან უვადო ხელშეკრულების დროს პიროვნული უზრუნველყოფის ღონისძიება განუსაზღვრელი ვადით იქნებოდა გამოყენებული. თავდების მიერ უვადო ხელშეკრულების პირობებში თავდებობის ცალმხრივი შეწყვეტა ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით უნდა განხორციელდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდებმა კრედიტორს (და, სავარაუდოდ, მოვალესაც) ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ 3 თვით ადრე უნდა აცნობოს. იგივე წესი მოქმედებს ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში 5 წლის გასვლის შემდეგ.¹⁴

შეტყობინების მისვლიდან სამი თვის ამოწურვისთანავე ხელშეკრულება მართლზომიერად შეწყვეტილად ჩაითვლება, თუმცა ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა თავდებს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, თავდები პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს, თუ ვალდებულების დაუყოვნებელი შესრულება მოითხოვოს. თუ

¹⁴ ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურეგროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნ. `ქართული სამართლის მიმოხილვა`, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008, გვ. 86

უვადო ხელშეკრულების პირობებში სამთვიანი ვადის დაცვით თავდებმა ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა, ხოლო კრედიტორი თავდების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას არ დაეთანხმა, ასეთ ვითარებაში თავდებმა კრედიტორის წინაშე ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებები სრულად უნდა შეასრულოს.

თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ძირითადი მოვალის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მასა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან (დავალეა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და ა. შ.), ხელუხლებელი რჩება. როდესაც თავდები კრედიტორის წინაშე ძირითადი მოვალის ვალდებულებას ასრულებს, კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ არ წყდება, არამედ თავდებზე გადადის, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ადგილი აქვს კრედიტორის შეცვლას კანონის ძალით, ე.წ. Cessio Legis. ამ შემთხვევაში, თუ ვალდებულება უზრუნველყოფილია უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებებით (იპოთეკა, გირავნობა), თავდებზე მოთხოვნა უზრუნველყოფილი სახით გადადის. თუმცა, იპოთეკა, გირავნობა და თავდებობა მოთხოვნის უზრუნველყოფის ის საშუალებებია, რომლებზეც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სოლიდარული უზრუნველყოფის პრინციპი მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი

ერთმანეთთან შიდა ურთიერთობებში სოლიდარული ვალდებულებების მომწესრიგებელი წესების შესაბამისად მოქმედებენ. მოვალეს შეუძლია თავდებს ყველა ის შესაგებელი წარუდგინოს, რომელიც კრედიტორის მიმართ გააჩნდა და რომელიც თავდებთან შიდასამართალურთიერთობიდან გამომდინარე აქვს. მათ შორის, შესაგებელი ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ კრედიტორის მოთხოვნის თავდებზე გადასვლით (კრედიტორის შეცვლით) ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან არ იწყება და, თუ თავდები ხანდაზმულ მოთხოვნას შეასრულებს, იგი კრედიტორისაგან შესრულებას უკან ვერ გამოითხოვს

და თუ მოვალე შესრულებაზე უარს ხანდაზმულობის საფუძველზე იტყვის, თავდები კრედიტორის მიმართ განხორციელებულ შესრულებას ვერც მოვალისაგან აინაზღაურებს.¹⁵

2.2 ფორმის მნიშვნელობა თავდებობისათვის

არსებობს საყოველთაოდ აღიარებული აუცილებლობა, რომ აღიკვეთოს თავდების წინდაუხედავი ქმედება. ყველა სამართლებრივ სისტემაში, დაპირება ნამდვილად ითვლება, მხოლოდ, წერილობით შედგენის შემთხვევაში, ვინაიდან, მხოლოდ მას სჭირდება დაცვა.

თავდებობა, აუცილებლად, წერილობით უნდა იქნეს გამოხატული. წერილობითი ფორმის მოთხოვნას გააჩნია სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვა, რომელიც თავდების დაცვას ისახავს მიზნად. ერთი მხრივ, წერილობითი ფორმა თავდების გაფრთხილების ფუნქციას ასრულებს. ხშირად, თავდები თავდებობის ხელშეკრულებას იმ ვარაუდით აფორმებს, რომ მოვალე შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და მას არ მოუწევს თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. თავდები, ხშირად, გულგრილად ეკიდება თავდებობას და არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოვალემ შეიძლება ვალდებულება არ შეასრულოს და მას თავად მოუწიოს ვალდებულების შესრულება.

¹⁵ ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012, გვ.182.

შესაბამისად, შესაძლოა, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, თავდებს თავდებობა მძიმე ტვირთად დააწვეს. წერილობითი ფორმა იცავს თავდებს ნაჩქარევი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილების მიღებისაგან. იგი თვალნათელს ხდის შესაძლო პასუხისმგებლობის შინაარსსა და მოცულობას, და შესაძლებლობას აძლევს თავდებს თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება, თავდებობასთან დაკავშირებული რისკის აწონ-დაწონვისა და გაანალიზების შედეგად მიიღოს რამდენადაც, ფორმის დაცვის მოთხოვნა ემსახურება თავდების დაცვას თავდებობის რისკისგან, ამიტომ, იგი მოქმედებს მხოლოდ თავდების მხრიდან გამოსავლენი ნების და არა კრედიტორის მიერ მისი მიღების მიმართ, რაც უსიტყვოდაც შეიძლება განხორციელდეს. დაცვის ფუნქციიდან გამომდინარეობს, ასევე, ფორმის დაცვის აუცილებლობის ფარგლები, კერძოდ, წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების არსებით შინაარსს, როგორებიცაა კრედიტორისა და მოვალის პიროვნება და საუზრუნველყოფო მოთხოვნის მოცულობა.

წერილობითი ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის, როდესაც მეწარმე პირი თავდებობის კისრების შესახებ აცხადებს სავაჭრო გარიგების სახით. ამ შემთხვევაში, ნაჩქარევი გადაწყვეტილებისაგან დაცვა საჭირო აღარ არის. გარდა ამისა, შიდა ურთიერთობაში, თავდებობა, ხშირად, სასყიდლიანია და, შესაბამისად, თავდებობის რისკის სავალდებულო გათვლა ცვლის დაცვის ფუნქციას.

მართალია, თავდები თვითონ არ მონაწილეობს ვალდებულების შესრულებაში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მისი პასუხისმგებლობის საფრთხეს. პირიქით, ის ფაქტი, რომ თვითონ ვერ ახდენს გავლენას ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულებაზე, უფრო ზრდის მის დაუცველობას და სხვისი ბრალისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების რისკს, რაც პრაქტიკაში ხშირად ხდება კიდევ. ამიტომაც მოითხოვს სამოქალაქო კოდექსი სავალდებულო წერილობით ფორმას, რომ

ამით აჩქარებისაგან დაიცვას თავდები და მისცეს მას პასუხისმგებლობის გაცნობიერების შესაძლებლობა.

2.3 თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები

თავდებობისას ურთიერთობა ფორმდება ხელშეკრულებით. ზოგადად ეს ხელშეკრულება იდება თავდებსა და მესამე პირის კრედიტორს შორის. მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი ვალდებულების კრედიტორი და კრედიტორი თავდებობაში უნდა წარმოადგენდეს ერთი და იგივე პიროვნებას. მესამე პირი - ეს არის თავდებობის ხელშეკრულების არამონაწილე პირი, იგივე ძირითადი მოვალე კრედიტორისა. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ თავდები არ უნდა ემთხვეოდეს ძირითად მოვალეს. თავდებობა თავად მოვალისა საკუთარი ვალდებულებისათვის, როგორც ასეთი არ წარმოადგენს კრედიტორისათვის არანაირ ღირებულებას რამდენადაც მისი თავდებობა ვერ აამაღლებს ვალდებულების შესრულების ვარაუდს, რამდენადაც მოვალე უკვე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. ძირითადი მოვალე და თავდები სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ სხვა შემთხვევაში რა გარანტიას შეუქმნის იგივე პიროვნების დამატებითი

ვალდებულების აღება კრედიტორს თუ მაგალითად იგი გადახდისუუნარო აღმოჩნდება.

ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა თავდებობის განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენა. გამორიცხულია მისი ელექტრონული სახით წარდგენა. ფორმის დაცვის მოთხოვნა ემსახურება თავდების დაცვას რისკებისაგან. ამიტომ იგი მოქმედებს მხოლოდ თავდების მხრიდან გამოსავლენი ნების მიმართ და არა კრედიტორის მიერ მის მიღებას, რაც შეიძლება ნებისმიერი ფორმით განხორციელდეს მათ შორის დუმილითაც. განცხადება თავდებობაზე უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების არსებით შინაარსს, როგორცაა კრედიტორისა და მოვალის პიროვნება და უზრუნველსაყოფი მოთხოვნის მოცულობა. თავდების დაცვის უზრუნველსაყოფად „წარდგენა“ ნიშნავს რომ წერილობით განცხადება კრედიტორს სულ ცოტა დროებით მაინც უნდა წარედგინოს. ეს ვერ მოხდება ფაქსით გაგზავნილი დოკუმენტით თავდებობის კისრების შემთხვევაში. საბლანკო თავდებობა აკმაყოფილებს ფორმის დაცვის მოთხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც თავდებმა ბლანკის შევსებაზე გასცა წერილობითი უფლებამოსილება ხელშეკრულების არსებითი შინაარსის შესახებ.

ფორმის მხრივ ბათილი უფლებამოსილების მიუხედავად ბლანკის ხელმომწერი სამართლებრივი თვალსაზრისით მაინც აგებს პასუხს როდესაც კრედიტორს ხელთ აქვს სრული დოკუმენტი და საიდანაც არ გამომდინარეობს რომ იგი დამატებით სხვა დოკუმენტით განივრცო.¹⁶

კრედიტორის პიროვნების გარდა თავდებობის შესახებ განცხადებიდან უნდა ჩანდეს თავდების ნებელობა, ვალდებულება და ძირითადი მოვალე. წერილობითი ფორმა დაცულად ითვლება თუ ძირითადი მოვალის პიროვნება და განზრახვა თავდებობისა გამომდინარეობენ გარემოებების ერთობლიობით. და პირიქით

¹⁶ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017, 370 გვ;

წერილობითი ფორმა არ არის დაცული თუ ტავდების ნებელობა გამოხატულია არა ამ განცადებით არამედ სხვა დოკუმენტით, რომელზეც კეთდება მითითება ამ განცხადებით. თავდებობა უნდა იყოს განსაზღვრული ხოლო ძირითადი ვალდებულება არნიშნული ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა უკიდურეს შემთხვევაში განმარტების გზით. ამიტომაც არ არის საკმარისი თუ თავდები წერილობით განცხადებაში ივალდებულებს თავს „იყოს თავდები 3000 ევროას ფარგლებში საქონლის შესაძენად“. თუმცა ძირითადი ვალდებულება ითვლება საკმარისად განსაზღვრულად თუკი მიეთითება, რომ თავდებობა ვრცელდება ყველა მოთხოვნაზე, რომელიც წარმოიშობა მორიგებით, შეთანხმებით შემნახველ სალაროსა და ძირითად მოვალეს შორის.

ერთის მხრივ რა საჭიროა განცხადება როდესაც ხელშეკრულებაზე ვაწერ ხელს, მეორეს მხრივ კი თუ არ არის განცხადება საჭირო როგორც ამას სუს განმარტავს რაღატომ ვდებთ ვწერთ კანონმდებლობაში, როგორც კუმულაციურ პირობას?

იმდენად რამდენადაც, თავდები ატარებს პასუხისმგებლობას ვალდებულების შესაბამისად რომელიც დასახელებულია თავდებობის შესახებ განცხადებაში, ის არ არის ვალდებული - (თუკი განმარტებიდან არ გამომდინარეობს სხვა რამ) აანაზღაუროს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი, ის არ ატარებს პასუხისმგებლობას არანამდვილი გარიგებისას კრედიტორსა და მოვალეს შორის, მოვალის მხრიდან უსაფუძვლო გამდიდრების წესებით კრედიტორის მიმართ განხორციელებული შესრულებისათვის. სხვა შემთხვევა რომლის გამოც თავდებობის ხელშეკრულება შეზღუდულად განიმარტოს თავდების სასარგებლოდ არ არსებობს.

ცალმხრივი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თავდები იღებს პასუხისმგებლობას ძირითადი ვალდებულების შესრულებაზედ, საერთოდ თავდებობა არ ავალებს კრედიტორს დამატებით ვალდებულებას გამოიჩინოს გულისხმიერება თავდების მიმართ. კრედიტორი არ არის ვალდებული თავდების ინფორმირებაზე რისკების შესახებ რომელიც დაკავშირებულია და მოსდევს მის მიერ თავდებობას. ის არაა

ვალდებული იმ შემთხვევაშიც კი როცა საქმე აქვს ახალგაზრდა თავდებთან რომელიც ეს ეს არის სრულწლოვანი გახდა. კრედიტორს არ ევალება შეამოწმოს ძირითადი მოვალის გადახდისუნარიანობა (რომელიც თავდების ინტერესი უფროა). შესაბამისად კრედიტორი არ არის ვალდებული ყურადღება მიაქცოს იმას, რომ რამდენად გაიზარდა თავდების რისკი თავდებობის მოქმედების პერიოდში. აქედან გამონაკლისია კრედიტორის ქცევა აშკარა მეთოდებით შეცდომით შეაფასოს თავისი რისკები.¹⁷

თავი III. თავდებობის შეწყვეტა

3.1. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა

თავდებობის ხელშეკრულების აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე მისი შეწყვეტა პირდაპირ დაკავშირებულია ძირითად ვალდებულებასთან. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტასაც. თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება სხვადასხვა საფუძველით შეწყდეს. ერთ-ერთია შესრულების აფუძველი, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ვის მიერ მოხდება შესრულება თავდების თუ მესამე პირის მიერ.

თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. განსაზღვრული ვადის შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება ამ ვადის გასვლისთანავე. განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებისას კი სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიან ვადას. ვადიანი თავდებობისას ხუთი წლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სამთვიანი ვადის დაცვით. ცხადია ცალმხრივი შეწყვეტის

¹⁷ ბილინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, გვ. 74

შემთხვევაში თავდები ვალდებულია შეასრულოს შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებანი.

თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე ის შემთხვევა როდესაც ვალის გადაკისრება ხდება და მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, გარდა იმ შემთხვევისა როცა თავდები განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე.

ძირითადი მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულება იწვევს ამ ვალდებულების შეწყვეტას. თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა იწვევს თავდებობის შეწყვეტასაც. ვალდებულების შესრულების ფორმას როგორცაა პირდაპირი გადახდა დეპონირება ან გაქვითვა მნიშვნელობა არა აქვს.

ვალდებულება შეწყვეტილად ჩაითვლება მაშინაც როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება. კონფუზია იწვევს მოთხოვნის შეწყვეტას რასაც შედეგად მოჰყვება თავდებობის შეწყვეტაც. მაგ: თუკი კრედიტორი-ბანკიშიძენს მოვალე-საწარმოს, რომლისთვისაც მიცემული სესხიც თავდებობით იყო უზრუნველყოფილი. თავდებობა ამ შემთხვევაშიც შეწყდება. შეიძლება პირიქითაც მოხდეს და მოვალემ შეიძინოს კრედიტორი-საწარმო, ორივე შემთხვევაში წყდება ძირითადი ვალდებულება, რაც ბუნებრივად იწვევს თავდებობის შეწყვეტას.

შედეგი უნდა დადგეს მაშინაც, როცა კრედიტორი და თავდები ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება, მაგალითად კრედიტორის მიერ თავდები-იურიდიული პირის შექმნის გზით. მართალია ამ დროს არ ხდება ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა, მაგრამ არსებობას წყვეტს თავდები, ხოლო კრედიტორი რომლის ნაწილიც თავდები გახდა, თავის თავს ვერ დაუდგება თავდებად. თავდებობა წყდება მაშინაც როცა თავდების ვალდებულებისა და კრედიტორის მოთხოვნის შერწყმა ხდება ოღონდ ამჯერად თავდების მიერ კრედიტორის შექმნის საფუძველზე. ამ დროს თავდები

თვითონ ხდება მოვალის კრედიტორი და ბუნებრივია თავის ტავს ვერ დაუდგება თავდებად.

იმ შემთხვევაში როცა ძირითადი მოვალე ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და კრედიტორის წინაშე შესრულება უწევს თავდებას, მართალია ძირითადი ვალდებულება (უზრუნველყოფილი მოთხოვნა) გადადის თავდებაზე და ის ხდება მოვალის კრედიტორი, მაგრამ წყდება თავდებობაც, რადგან თავდება არ შეიძლება საკუთარ თავს დაუდგეს თავდებად. არც ამ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა იმას თუ რა გზით უზრუნველყოფს თავდება კრედიტორს - პირდაპირ გადახდით, დეპონირებით თუ მოთხოვნის გაქვითვით.

თავდებაზე კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ გადადის მხოლოდ მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე კრედიტორის ნაწილობრივ დაკმაყოფილება არ გამოიწვევს თავდებობის შეწყვეტას.

თუკი ძირითადმა მოვალემ შეასრულა ვალდებულება კრედიტორის წინაშე მაშინ აქცესორულობიდან გამომდინარე სრულდება წყდება როგორც ძირითადი ვალდებულება, ისე თავდებობა. ამასთან არანაირი მნიშვნელობა არა აქვს თუ რა საშუალებით შეასრულა ვალდებულება და დააკმაყოფილა კრედიტორი ძირითადმა მოვალემ: თანხის გადახდით; დეპოზიტზე განთავსებით, ნებისმიერ შემთხვევაში თავდება თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისაგან. კრედიტორისა და თავდების გაიგივებას მივყავართ ასევე თავდებობის შეწყვეტამდე რამდენადაც თავდება მოკლებულია შესაძლებლობას შეასრულოს ვალდებულება საკუთარი თავის წინაშე ძირითადი მოვალის ნაცვლად. და ბოლოს თავდებობა მთავრდება ძირითადი ვალდებულებისა და თავდებობის დამთხვევისას. თავდება რომელიც მიუთითებს, ძირითადი მოვალის მიერ შესრულებაზე რომელიც იწვევს მის გათავისუფლებას ვალდებულია ამტკიცოს ეს.¹⁸

¹⁸ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 123

თუკი ძირითადი მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას და კრედიტორი ამ მიზნით დაკმაყოფილების მიზნით მიმართავს თავდებს, თავდები შეასრულებს ვალდებულებას ჩაფარავს ერთდროულად ძირითად ვალდებულებას რომელიც მოვალის ვალდებულებაა და ასევე თავის ვალდებულებას. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა რა გზით მიიღო კრედიტორმა შესრულება.

ვალდებულების შესრულების შემდეგ თავდები მასა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობის საფუძველზე ვალდებულების შესაბამისად რომელზეც მან იკისრა თავდებობა ჩვეულებისამებრ შეუძლია მოითხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნულისგან დამოუკიდებლად კანონი აძლევს მას უფლებას უკან გამოთხოვისა ძირითადი მოვალისაგან რომლითაც თავდებს რომელმაც დააკმაყოფილა კრედიტორი მიეკუთვნება კრედიტორის მოთხოვნები ძირითადი მოვალის მიმართ (შენაცვლება). მაგ: თუკი თავდებმა განახორციელა გადახდა, ბანკის უფლებები გადადის მასზე იმ მომენტიდან როდესაც ბანკმა მიიღო სრული დაკმაყოფილება თავისი მოთხოვნებისა ძირითადი მოვალის მიმართ. ამ დრომდე ურთიერთობა რამდენიმე თავდებს შორის

თავდების ინიციატივით თავდებობის ცალმხრივად შეწყვეტის რამდენიმე საფუძველს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი. განსაკუთრებით ეხება ეს იმ შემთხვევებს როცა თავდები ძირითადი მოვალის დავალებით დგება თავდებად ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძველზე კისრულობს თავდებობას. ჩამოთვლილი ერთ-ერთი წინაპირობის არსებობისას თავდებს შეუძლია ძირითადი მოვალისაგან მოითხოვოს კრედიტორის დაკმაყოფილება ან სხვა უზრუნველყოფის შეთავაზება და ამით თავდებობისაგან გათავისუფლება. უვადო თავდებობის ცალმხრივად შეწყვეტისას გამოიყენება შეწყვეტის სამთვიანი ვადა, რომელიც თავდებმა უნდა დაიცვას.

შეწყვეტის სამთვიანი ვადა გამოიყენება ვადიანი თავდებობის შემთხვევაშიც, ოღონდ თავდებობის დაწყებიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ თავდების მიერ

თავდებობის ცალმხრივად შეწყვეტა არ ახდენს გავლენას შეწყვეტამდე ნაკისრ ვალდებულებებზე: ის ვალდებულებები უნდა შესრულდეს თავდების მიერ.

საქმეზე # ას-159-867-03, 12 ნოემბერი 2003 წელი, სასამართლომ განმარტა რომ არასწორია ქმედება სს „ს.ს.ბ“ მიერ თანხის ჩამოჭრა თვითდახმარებად მიჩნევის შესახებ. სამოქ კოდექსის 118 მუხლის თანახმად, თუ კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე რომ უფლება ვერ განხორციელდება ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს ან ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს ანდა აღკვეთავს ვალდებულ პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.

სს მოქმედება შპს ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე თანხის ჩამოჭრის შესახებ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თვითდახმარებად, ვინაიდან თავდებობის ხელშეკრულების შესაბამისად კრედიტორს სათანადო ვადაში შეეძლო მიემართა კომპეტენტური ორგანოსათვის მოცემულ შემთხვევაში სასამართლოსთვის - სათანადო სარჩელით. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ არსებობდა არავითარი საფრთხე იმის შესახებ რომ სს უფლება თანხის ამოღების შესახებ ვერ განხორციელდებოდა ანგარიშიდან თანხების ჩამოჭრის გარეშე ვინაიდან შპს სოლიდარული ორგანიზაციაა აქვს სათანადო ქონება თანხა და აქვს შესაძლებლობა დაფაროს კანონის შესაბამისად გადასახდელად დაკისრებული თანხა. უფრო მეტიც 115 უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. 118 თვითდახმარება უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა. 115 თვითდახმარება უნდა ხორციელდებოდეს მართლზომიერების ფარგლებში. ამავე კოდექსის 119.1 თვითდახმარება არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მოცემულ შემთხვევაში სს მოქმედება აშკარად

სცილდება იმ ფარგლებს რომელიც აუცილებელია დავალიანების დაუფარავობის საფრთხის ასაცილებლად. სს არ იყო თანხის ჩამოჭრაზე უფლებამოსილი შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქ კოდექსის 861 მუხლით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ანგარიშიდან ფულადი სახსრების გამოწერა აწარმოოს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში. აქედან გამომდინარე ბანკი არ იყო თანხის ჩამოჭრაზე უფლებამოსილი. ეს უფლება არ გააჩნდა არც მათ შორის გაფორმებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ვინაიდან ერთის მხრივ მას ვადა ჰქონდა გასული, ხოლო მეორეს მხრივ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა დავალების გარეშე ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის შესაძლებლობას მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ასეთი რამ გათვალისწინებული იქნებოდა კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის არ არსებობს ხელშეკრულება იმის შესახებ რომ შპს ანგარიშიდან თანხა დავალების გარეშე ჩამოიწეროს. არც რაიმე კანონი არსებობს იმის შესახებ რომ თავდების ანგარიშიდან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ჩამოიჭრას თანხა ანგარიშის მფლობელის თანხმობის ან დავალების გარეშე. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის 220 ბრძანების უნაღდო ანგარიშსწორების წესების შესახებ 7 მუხლის შესაბამისად საბანკო ანგარიშიდან მისი მფლობელის გარეშე უდავო წესით თანხების ჩამოწერა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს ან სხვა ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში თანხების ჩამოჭრის შესახებ არც სასამართლოს და არც რომელიმე სხვა საამისოდ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება არ არსებობდა, სს უფლებამოსილი არ იყო თვითნებურად განეხორციელებინა თანხების ჩამოჭრა.

3.2 შეცილება და არანამდვილობა

ჩვეულებისამებრ თავდებობის ხელშეკრულება ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებაა თავდების მიმართ. გამონაკლისის სახით თუკი კრედიტორი იღებს ვალდებულებას საპასუხო შესრულებაზე თავდებობა შეიძება დადგინდეს ორმხრივ ხელშეკრულებად. ასეთი ორმხრივი ხელშეკრულების ჩარჩოებში თავდები იღებს კრედიტორის მიმართ უფლებას 320 მუხლის თანახმად და სხვა. თუმცა ჩვეულებრივი თავდებობისას თავდებსა და კრედიტორს წარმოეშობათ ორმხრივი დამატებითი ვალდებულებები, რომელთა დარღვევისთვისაც გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურება. სხვა შემთხვევაში კი დარღვევა იწვევს თავდებობისაგან გათავისუფლებას. თავდებობის ხელშეკრულება როგორც ნებისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს პირობითად ან ვადის მითითებით. როგორც ყველა გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა ისე თავდებობაც შეიძლება გამოთხოვილ შეწყვეტილ იქნას თავდების მიერ თუ ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით ხოლო თავდებობა გაფორმებული განუსაზღვრელი ვადით შემდგომი მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს საპატიო მიზეზის არსებობისას. თუმცა ამავე დროს კრედიტორს როგორც წესი ეძლევა საკმარისი დრო რომ მიიღოს სხვა მხრივ დაკმაყოფილება თუ უზრუნველყოფა შეცვლილ გარემოებასთან შესათვისებლად. თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტის კვალი ... პირიქით თუ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება ის ძალიან მალე შეიზღუდება ძირითადი მოვალის ვალდებულებებით, წარმოშობილი ხელშეკრულების შეწყვეტის ვადამდე.¹⁹

საერთო პრინციპები შეცილებისა და არანამდვილობისა მიიღება თავდებობის ხელშეკრულებაზე შეუზღუდავად. თუმცა ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეცილება იმ ხელშეკრულებისა რომელიც დადებულია შეცდომით არ უნდა აფერხებდეს თავდებობის უზრუნველმყოფელ დანიშნულებას. ამიტომ თავდები არ

¹⁹ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, Gთბ, თბ., 2010, გვ. 156

არის უფლებამოსილი შეცილების უფლებაზე იმაზე მითითებით, რომ იგი შეცდა ან შეცდომაში შევიდა როდესაც ჩათვალა მოვალე გადახდისუნარიანად რამდენადაც მისი ვალდებულება ძალაში შედის სწორედ მოვალის გადახდისუნარობის დადგომისას. ზემოთქმული სრულიად ეხება ვრცელდება თავდების იმ არგუმენტზე, რომ მან არასწორად შეაფასა მოვალის გადახდისუნარიანობა.

თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს საცილო გახადოს თავისი ვალდებულების საფუძვლად არსებული გარიგება. ანალოგიური უფლება აქვს თავდებს ვიდრე კრედიტორს შეუძლია ძირითადი მოვალის ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილება გაქვითვის გზით.

თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე ვიდრე კრედიტორი უშედეგოდ არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას (თავდები პირის შესაგებლის უფლება უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას) თუ თავდები წარადგენს შესაგებელს რომლითაც უარს აცხადებს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას თავდების მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მანამდე სანამ კრედიტორი უშედეგოდ არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

თავდები პირის შესაგებლის უფლებით უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას მუდავნდება ძირითადი ვალის მიმართ თავდების პასუხისგებლობის სუბსიდიურობა: კრედიტორს არ შეუძლია თავდების მიმართ მოთხოვნის წარდგენა მანამდე სანამ იგი ძირითადი მოვალის მიამრთ არ განახორციელებს უშედეგო იძულებით აღსრულებას. ვალდებულების შესრულების

უარის უფლების აღნიშვნა შეცდომაში შემყვანია ვინაიდან ძირითადი მოვალის მიმართ წარდგენილი სარჩელი არც აუცილებელია და არც საკმარისი. საკმარისია აღსრულების ერთჯერადი მცდელობა იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ძირითადი მოვალე მოგვიანებით გამდიდრდება როდესაც როგორც სტანდარტული შემთხვევისას თავდებობა უზრუნველყოფს ფულად მოთხოვნას, გასათვალისწინებელია 772-ის თავისებურებები. 772 -ე მუხლის თანახმად კრედიტორის ვალდებულება იძულებით აღსრულებასა და რელიზაციაზე თუ თავდებობა ნაკისრია ფულადი ვალდებულებისათვის მაშინ იძულებითი აღსრულება ძირითადი მოვალის მოძრავი ნივთების მიმართ უნდა განხორციელდეს მის საცხოვრებელ ადგილზე ხოლო თუ ძირითად მოვალეს აქვს საწარმოო ერთეული სხვა ადგილზე ასევე ამ უკანასკნელზე, ანდა საცხოვრებელი ადგილისა და საწარმოო ერთეულის არარსებობისას - მის ადგილსამყოფელზე

თუ კრედიტორს აქვს გირავნობის უფლება ან დაკავების უფლება ძირითადი მოვალის მოძრავ ნივთზე მაშნ იგი ასევე უნდა ეცადოს დაკმაყოფილების მიღებას ამ ნივთიდან; თუ კრედიტორს აქვს ანალოგიური უფლება ნივთზე ასევე სხვა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მაში ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ ნივთის ღირებულებიდან იფარება ორივე მოთხოვნა.

თუ თავდები იკისრებს თავდებობას ძირითადი მოვალის დავალებით ან თუ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების მიხედვით თავდებობის კისრების გმაო აქვს რწმუნებულის უფლებები ძირითადი მოვალის მიმართ მაშნ მას შეუძლია ამ უკანასკნელისაგან მოითხოვოს ტავდებობისაგან გათავისუფლება:

- 1.თუ ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა
- 2.თუ ძირითადი მოვალის წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოება არსებითად გაძნელდა თავდებობის კისრების შემდეგ მომხდარი ძირითადი მოვალის

საცხოვრებელი ადგილის საწარმოო ერთეულის ან ადგილსამყოფელის ცვლილების გამო

3.თუ ძირითადი მოვალე გადააცილებს თავისი ვალდებულების შესრულების ვადას

4.თუ კრედიტორმა თავდების წინააღმდეგ მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება ვალდებულების შესრულებაზე რომელიც ექვემდებარება აღსრულებას.

თუ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა მოვალეს შეუძლია ვალდებულებისაგან გათავისუფლების ნაცვლად თავდებს წარუდგინოს უზრუნველყოფა.

თუ კრედიტორი უარს ამბობს მოთხოვნასთან დაკავშირებულ უპირატეს უფლებაზე მის უზრუნველსაყოფად არსებულ იპოთეკასა თუ საზღვაო ხომალდზე დადგენილ იპოთეკაზე მის უზრუნველსაყოფად არსებულ გირავნობის უფლებასა თუ თანათავდების მიმართ არსებულ უფლებაზე მაშინ თავდები თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ ფარგლებში რომლებშიც იგი 774 მიხედვით შეძლებდა ანაზღაურების მიღებას იმ უფლებიდან რომელზეც მან უარი თქვა. ეს წესი მოქმედებს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც თუ უფლება რომელზეც კრედიტორმა უარი თქვა წარმოიშვა მხოლოდ თავდებობის კისრების შემდეგ.

ცხადია ბანკი და ასევე სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები უპირატესობას ანიჭებს მოთხოვნის უზრუნველყოფის იმ საშუალებას, რომელიც მისთვის სარეალიზაციოდ საჭიროების შემთხვევაში იქნება უფრო მარტივი განსახორციელებელი და დროშიც და სმართლებრივად უფრო მარტივი „აღსასრულებლად“. სწორედ ასე შეგვიძლია დავახასიათოთ ჩვენს მიერ განხილული და შესასწავლი პიროვნული უზრუნველყოფის საშუალება. იმდენად რამდენადაც ბანკს სესხის შემთხვევაში მაგალითად შეუძლია პირდაპირ თავდების ხელფაიდან თანხოს ჩამოჭრა ავტომატურად ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც რომ არანაირი გაფრთხილებას ან გადახდის გრაფიკის შესახებ ინფოს არცერთი ბანკის თანამშრომელი არ გასცემს სხვა ნებ პირზე. ასეთ

პირებში კი იგულისხმება ყველა პირი გარდა მსესხებლისა და გამონაკლისი შემთხვევაა მინდობილი პირი. ცხადია თავდებს უწევს იმის გათვლაც, რომ ეცადოს ძირითადი მოვალისაგან მინდობილობის მიღება. თავისი ახლო ნათესაური თუ სანაცნობო ურთიერთობიდან გამოდინარე რაც თავისთავად „შეურაცხყოფელ“ გარემოებაში აყენებს მათ სამომავლო თუ იმდროინდელ ურთიერთობას.

აზრს მოკლებულია ის გარემოება რომ თავდებმა ასეთი განახორციელოს იმ პირობებში როდესაც იგი თავიდანვე გაუცნობიერებლად და სიმორცხვით „“ თუ მორიდების გამო ვერ ამბობს უარს ასეთი უზრუნველყოფის გაცემაზე.

ბანკები სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში მართალია თანაბარ ვალდებულებებს ანიჭებენ ამ პირებს თუმცა უფლებებზე როცა დგას საკითხი, ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია ბანკის შინაგანაწესის თუ სხვა კანონმდებლობის საფუძველზე აპელირებით.

ის ფაქტი, რომ იპოთეკა ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ვერ დავეთანხმები რადგან იპოთეკის დროს დაცვის მექანიზმი უძრავი ქონების მესაკუთრისა უფრო მეტაა სახეზე ვიდრე თავდებობისას. ვინაიდან მესაკუთრე გრძნობს და ხედავს ცხადად და შეუძლია მისთვის აღქმადია, რომ „საფრთხე“ ემუქრება მის უძრავ ქონებას. თუმცა როცა საუბარია მომავალში მისაღებ შემოსავალზე „ხელფასზე“ პირი ნაკლებად აცნობიერებს იმას, რომ ოდესმე ეს იქნება ერთი ორი თუ სამი თვის შემდეგ მას არ ექნება წვდომა საკუთარ ხელფასზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ძირითადი ამოვალემ არ გადაიხადა ან უფრო მეტიც თუნდაც ერთი დგით გადააცილა გადახდას.

არვიცი რამდენად ხშირია პრაქტიკაში თუმცა პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე მქონია შემტხვევა რომ თავდების ხელფასი წინა დღით იყო „დაბლოკილი“ ვალდებულების შესრულების წინა დგეს ვგულისხმობ და თავდმა ვერ შეძლო მისი განკარგვა იმ დრომდე სანამ ძირითადი ა მოვალემ მეორე დღეს ანუ ვალდებულების შესრულების დღეს არ შეასრულა ვალდებულების მისთვის დაკისრებული ნაწილი. თუმცა ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას რომ ვივარაუდოთ

სხვა ბევრი მსგავსი შემთხვევის არსებობაც. როცა სამართალს და პირთა თანასწორობაზე დამყარებულ ურთიერთობებს ეყრდნობა სამოქალაქო სამართალი ძნელია ვარაუდზე საუბარი. თუნდაც ერთხელ მომხდარი არასწორი ფაქტი უკვე ხარვეზია და საჭიროებს მის დაუყოვნებლივ აღმოფხვრასა და შემდგომ პრევენციას.

ასევე საკითხავია რამდენად სწორია არაერთი უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება თუმცა ეს ცალკე განსჯის საკითხია და ჩვენი კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს.

საბანკო პრაქტიკაში მოთხოვნა ორი უზრუნველყოფის საშუალებით მაინც არის უზრუნველყოფილი.

ზოგადად სასამართლო პრაქტიკის მიხედვით უმეტესობა გადაწყვეტილებისა რჩება უცვლელი აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ მესამე ინსტანციაში

კრედიტის გამცემი ჩვეულებისამებრ უპირატესობაში იმყოფება კრედიტის მიმღებთან შედარებით. მას აქვს დიდი გამოცდილება და ამავე დროს იურიდიული კანონმდებლობის ცნობა განსხვავებით რიგითი ფიზიკური პირისაგან. 895-ე მუხლი კი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მხარეებს. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკურ-სოციალური ფონის გათვალისწინებით და ბანკების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებით ვერ დამყარდება სამოქალაქო თანასწორობა. ისედაც დაუცველი მხარე ფიზიკური პირი იქნება ეს მსესხებელი თუ თავდები კიდევ უფრო დაუცველი ხდება კრედიტორის დაცვის გაძლიერებით.

თავი IV. თავდებობის ფორმის ინტერპრეტაცია ქართულ და გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი საქმის მიხედვით, 1999 წლის 1 აპრილს, შპს `ახალმა ქსელებმა“ გასცა საგარანტიო წერილი, რომლითაც გარანტად

დაუდგა შპს „ასტრა დილომს“, სესხის დაბრუნებაზე. იმავე დღეს, საკრედიტო ხელშეკრულებით, შპს „ასტრა დილომმა“ სს „საქართველოს საფოსტო ბანკიდან“ აიღო სესხი, 105 000 ლარის ოდენობით, ორი თვის ვადით. დათქმულ ვადაში სესხი არ იქნა

დაბრუნებული. იმის გამო, რომ შპს „ასტრა დილომმა“ არ დააბრუნა აღებული სესხი, „საქართველოს საფოსტო ბანკმა“, 2000 წლის 5 ივლისს, შპს `ახალი ქსელებს`, როგორც შპს „ასტრა დილომის` თავდებს, ჩამოაწერა ძირითადი ვალი, დარიცხულ პროცენტებსა და საურავთან ერთად.საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი საგარანტიო წერილი სასამართლომ ჩათვალა მხოლოდ თავდების განცხადებად, თავდებობის დოკუმენტი (ხელშეკრულება) კი, ფიზიკურად არ არსებობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებსა და 892-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავდებობა გამოხატული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, და კანონი თავდებობის ხელშეკრულების არსებით პირობად მიიჩნევს, რომ თავდებობის დოკუმენტში მითითებული იყოს ის კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც, თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას.

უზენაესმა სასამართლომ როგორც აღნიშნა, მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტი გაფორმებულია წერილობით, დადასტურებულია შპს „ახალი ქსელების` (თავდების) გენერალური დირექტორისა და ბუღალტრის ხელმოწერით; დოკუმენტი დამოწმებულია შპს „ახალი ქსელების` ბეჭდით. დოკუმენტში გამოხატულია თავდების ნება, რომ იგი თანახმაა, იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე, მოპასუხის ვალდებულებებისთვის. დოკუმენტში მითითებულია კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც, მოსარჩელემ იკისრა პასუხისმგებლობა. დადგენილია, რომ ეს დოკუმენტი მიიღო კრედიტორმა, მასში მითითებულ პირობებზე არ გამოუთქვამს პრეტენზია, მოპასუხესთან გააფორმა საკრედიტო

ხელშეკრულება, და გასცა სესხი, რაც უნდა ჩაითვალოს მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებად, დოკუმენტში მითითებული პირობებით.

კასატორის მოსაზრებას, რომ უნდა არსებობდეს ორი წერილობითი დოკუმენტი (განცხადება და თავდებობის დოკუმენტი), საკასაციო პალატა არ დაეთანხმა, რადგან, კანონი არ კრძალავს ერთი დოკუმენტით გაფორმდეს როგორც თავდების განცხადება, ისე ხელშეკრულების არსებითი პირობები. წარმოდგენილ დოკუმენტში გამოხატულია როგორც თავდების ნება (განცხადება), ასევე, ხელშეკრულების არსებითი პირობები. როგორც ცნობილია, ზოგადად, ფორმის მიმართ მოთხოვნები ემსახურება მხარეების (ან ერთ-ერთი მხარის) გაფრთხილებას, რომ ისინი აპირებენ მნიშვნელოვანი აქტის შესრულებას, რაც მოხსენიებულია, როგორც გაფრთხილების ფუნქცია.

ფორმის მიმართ მოთხოვნები, როგორც წესი, ასოცირდება პოტენციურად `საშიშ` გარიგებასთან. ზოგიერთი ავტორის შეხედულებით, თავდებობა სწორედ ამ კატეგორიაში ექცევა.

თავდებობა აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა გამოიხატოს, რისთვისაც საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება, იმის შესახებ, რომ იგი თანხმობას აცხადებს, კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის კისრების თაობაზე და იმ პირის ვალდებულებისათვის, რომელიც კრედიტორის მოვალეს წარმოადგენს. გარდა ამისა, თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) მითითებული უნდა იყოს მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც, გარანტი კისრულობს პასუხისმგებლობას.

წერილობითი ფორმის დაუცველობა გამოიწვევს თავდებობის თაობაზე მიღწეული შეთანხმების ბათილობასა და, შესაბამისად, თავდების ვალდებულების გაუქმებას. როგორც აღინიშნა, წერილობითი ფორმის მოთხოვნა სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, რაც თავდების დაცვას ემსახურება. ერთი მხრივ, ფორმას თავდების გაფრთხილების ფუნქცია გააჩნია. კერძოდ, შესაძლოა, ხელშეკრულების დადების

შემდეგ, ნაკისრი ვალდებულება თავდებისთვის დიდი ტვირთი აღმოჩნდეს. შესაბამისად, წერილობითი ფორმა იცავს მას ნაჩქარევი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილების მიღებისაგან. მეორე მხრივ, ფორმა მტკიცებულებით ფუნქციას ასრულებს, რაც, თავდებობის არსებობისა და მისი ოდენობის თაობაზე, დავის თავიდან აცილების საშუალებაა. ამასთანავე, ფორმა იმ რისკის შემოფარგვლას ახდენს, რომელიც თავდებმა იკისრა. პრაქტიკაში, თავდებობის წარმოშობა ხელშეკრულების გაფორმებით ხდება, რომელზეც, როგორც წესი, ხელშეკრულების დადების ნებას წერილობითი ფორმით ორივე მხარე გამოხატავს. თუმცა, კანონმდებელი ფორმის დაცვას მხოლოდ თავდების განცხადებისთვის, ანუ, მისი მხრიდან თავდებობის ხელშეკრულების დადებისკენ მიმართული ნების გამოვლენისთვის ითხოვს. კრედიტორის მხრიდან ნების გამოვლენის ფორმის დაცვა სავალდებულო არ არის, და იგი კონკლუდენტურად შეიძლება განხორციელდეს, რაც გულისხმობს კრედიტორის მიერ თავდების განცხადების მიღებას.

თავდებობის განცხადების წერილობითი ფორმა დადგენილია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 766-ე პარაგრაფითაც. კერძოდ, თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა თავდებობის განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენა. წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების არსებით შინაარსს, როგორცაა კრედიტორისა და მოვალის პიროვნება და უზრუნველსაყოფი მოთხოვნის მოცულობა.²⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად სათანადოდ განმარტა უზენაესმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის პირველი ნაწილი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართლის ნორმათა განმარტების მეთოდები. როგორც განხილული საქმიდან ჩანს, საკასაციო პალატა ამ კონკრეტულ დებულებას სიტყვასიტყვითი

²⁰ ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 2002, გვ. 54

განმარტებით არ მიუდგა, და კანონის ტექსტის ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია მოახდინა. კერძოდ, ამ შემთხვევაში, სახეზეა ტელეოლოგიური შეზღუდვითი განმარტების (რედუქციის) გამოყენება, რა დროსაც, კანონი შეზღუდულად განიმარტება, მისი მიზნიდან გამომდინარე. ტელეოლოგიური რედუქცია მოითხოვს განსაკუთრებულ ლეგიტიმაციას, რამდენადაც, ამ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ იგნორირებულია კანონის სიტყვასიტყვითი მოთხოვნა, შესაბამისად, მოსამართლე კონფლიქტში მოდის თავის კონსტიტუციურ ვალდებულებასთან, დაემორჩილოს მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ეს პრობლემა მოსამართლემ უნდა გადაჭრას შეზღუდვითი (რესტრიქციული) განმარტებით, რა შემთხვევაშიც, კანონში გამოყენებული სიტყვა ვიწროდ განიმარტება, თუმცა, არ სცილდება კანონის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით, ადგილი აქვს სამართლებრივი ნორმის გამოყენების სფეროს შეზღუდვას, როდესაც ხდება შესაბამისი ურთიერთობის მოქცევა სამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში.

როგორც წესი, დაუშვებელია ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც კანონმდებლის გადაწყვეტილებას, ნორმის ცალსახად გამოხატული მიზნისა და მიზანშეწონილობის შესახებ, თვალნათლივ ეწინააღმდეგება. მაშასადამე, ინტერპრეტაცია იმაზე შორს არ უნდა წავიდეს, ვიდრე ეს აუცილებელია. იგი კანონმდებლის განზრახულობას არ უნდა გასცდეს, რათა, შემლებისდაგვარად, დაცულ იქნეს სამართლის თანმიმდევრულობა და კანონის ინტერპრეტაცია უსაფუძვლოდ არ უნდა შევიდეს კანონმდებლის ფუნქციათა სფეროში.

ტელეოლოგიური რედუქცია, ე.ი., ნორმის გამოყენების სფერო შეზღუდვა, მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეეფარდება სამართლის ნორმას. სახეზე უნდა იყოს ნორმის შემადგენელი ყველა ფაქტობრივი ელემენტი, რაც იწვევს შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომას. თუ მოცემულია ყველა ფაქტობრივი ელემენტი და დადგენილია სამართლებრივი შედეგიც, უნდა განისაზღვროს ნორმის კონკრეტული მიზანი. კერძოდ, უნდა

შემოწმდეს, მოიცავს თუ არა ნორმის მიზანი მოცემულ შემთხვევას. თუ ნორმის მიზანი ვრცელდება აღნიშნულ შემთხვევაზე, მაშინ, მოხდება მისი გამოყენება.⁴¹⁹ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნორმის შემადგენელი ყველა ფაქტობრივი ელემენტი სახეზეა, რამდენადაც, საქმეში არსებულ ერთი დოკუმენტი მოიცავდა როგორც თავდების ნებას, კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის აღების თაობაზე, ისე იმ არსებით პირობებს, რომელთა არსებობასაც კანონმდებელი თავდებობის ნამდვილობას უკავშირებს. რაც შეეხება შემოწმების მეორე

ეტაპს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზანია, უზრუნველყოს თავდების მხრიდან ხელშეკრულების დადებისკენ მიმართული ნების გამოვლენის დაფიქსირება და თავდებობის ნამდვილობის განმსაზღვრელი პირობების ასახვა ხელშეკრულებაში. მამასადამე, ნორმის გამოყენების სფეროს შეზღუდვის ყველა წინა პირობა დაკმაყოფილებულია.

როგორც ცნობილია, ნორმის განმარტება ხორციელდება სამართლის შეფარდების პროცესში, ანუ, კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ამავე დროს, ნორმის განმარტებას უნდა ჰქონდეს საყოველთაო და ზოგადი მოქმედების პრეტენზია. სამართლის ნორმის განმარტება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევით. ნორმის განმარტებას უნდა ჰქონდეს ზოგადი მნიშვნელობა, ნორმის განმარტებამ გონივრული შედეგი უნდა მოიტანოს სხვა შემთხვევათა მიმართაც.²¹

აღსანიშნავია, რომ მოცემული განმარტება მოერგება ყველა იმ ვითარებას, როდესაც მხარეებს სიტყვასიტყვით არ შეუსრულებიათ კანონმდებლის მიერ დადგენილი ფორმის მიმართ მოთხოვნა, თუმცა, ფაქტობრივი გარემოებით დგინდება, რომ თავდების მიერ ნების გამოვლენაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს და ხელშეკრულების შინაარსიც ყველა არსებით პირობას მოიცავს. მოცემულ

²¹ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 82

კონტექსტში, საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიც, რომელიც ავალდებულებს სადაზღვევო კომპანიას, ჩააბაროს დამზღვევეს ხელმოწერილი საბუთი, დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, რასაც სადაზღვევო მოწმობა (პოლისი) ეწოდება. მაშასადამე, დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მზღვეველმა კონტრაჰენტს უნდა გადასცეს აღნიშნული საბუთი. ეს უკანასკნელი მხარეთა შორის სადაზღვევო ურთიერთობის არსებობას ადასტურებს. თუმცა, პრაქტიკაში, როგორც წესი, კომპანია აფორმებს ერთ დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს როგორც დაზღვევის ხელშეკრულებას, ისე პოლისს. ცხადია, ამგვარი მიდგომა არ ეწინააღმდეგება 802-ე მუხლის მოთხოვნას, მთავარია, პოლისი აკმაყოფილებდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ ყველა პირობას.

სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება.

ამდენად, თავდებობა გამოხატული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და კანონის მიერ თავდებობის ხელშეკრულების არსებით პირობად მიჩნეულია რომ თავდებობის დოკუმენტში მითითებული იყოს ის კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც კისრულობს თავდები პასუხისმგებლობას.

თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი სუბიექტებია თავდები და კრედიტორი. თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ იგი მიიღოს კრედიტორმა, დარწმუნდეს, რომ ამ დოკუმენტში გამოხატული ნება ნამდვილად გამომდინარეობს ამ ხელშეკრულების მხარისაგან.

მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტი გაფორმებულია წერილობითი ფორმით, დადასტურებულია შპს „ა-ის“ (თავდების) გენერალური დირექტორის და ბუღალტერის ხელმოწერით; დოკუმენტი დამოწმებულია შპს „ა-ის“ ბეჭდით.

დოკუმენტში გამოხატულია თავდების ნება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მოპასუხის ვალდებულებისათვის. დოკუმენტში მითითებულია კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც იკისრა მოსარჩელემ პასუხისმგებლობა. დადგენილია, რომ მითითებული დოკუმენტი მიიღო კრედიტორმა, მასში მითითებულ პირობებზე არ გამოუთქვამს პრეტენზია, გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება მოპასუხესთან და გასცა სესხი, რაც უნდა ჩაითვალოს მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებად დოკუმენტში მითითებული პირობებით.

კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უნდა არსებობდეს ორი წერილობითი დოკუმენტი (განცხადება და თავდებობის დოკუმენტი), საკასაციო პალატა არ ეთანხმება, რადგან კანონი არ კრძალავს ერთი დოკუმენტით გაფორმდეს როგორც თავდების განცხადება, ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები. წარმოდგენილ დოკუმენტში, როგორც აღინიშნა, არის გამოხატული, როგორც თავდების ნება (განცხადება), ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ თავდებობა ნამდვილია და წარმოდგენილი საგარანტიო წერილი უნდა ჩაითვალოს წერილობითი ფორმით შედგენილ თავდებობის დოკუმენტად.

საქმე № ას-458-792-05 9 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი

(სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლი)

სკ-ის 894-ე მუხლის თანახმად, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. აღნიშნული მუხლის დისპოზიციურობა გამოიხატება იმაში, რომ თავდებს შეუძლია იძულებითი აღსრულების გარეშე გადაუხადოს

კრედიტორს ვალი ან შეასრულოს რაიმე სხვა ხელშეკრულებით გათავალისწინებული ვალდებულება.

ეს დამოკიდებულია თვითონ თავდების ნებაზე. განსახილველი ნორმა ითვალისწინებს მოთხოვნის იძულებით აღსრულებას, რაც, ასევე, გათვალისწინებულია სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კერძოდ, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. შესრულების მოთხოვნის ინსტიტუტი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს აღნიშნული სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელებას, რაც ასევე დაცულია ამავე კოდექსის 115-ე მუხლის პირველი წინადადებით. კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული დანაწესი იცავს მოვალეს კრედიტორის თვითნებობისაგან. ამრიგად, მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს მეშვეობით, ანუ კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან სასამართლოს მეშვეობით, შესრულების იძულებითი განხორციელება მოითხოვოს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რამ კრედიტორის მიერ სასარჩელო წესით სასამართლოში მოთხოვნის დაკმაყოფილების მცდელობა წარმოადგენს მოვალის მიმართ მოთხოვნის იძულებითი აღსრულების საშუალებას.

სკ-ის 894-ე მუხლი არა მარტო ანიჭებს თავდებს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლებას, არამედ განსაზღვრავს ამ უფლების ფარგლებს, ანუ თავდებს აღნიშნული უფლება გააჩნია, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. მხედველობაში არის მისაღები ის მომენტი, რომლის დადგომის შემდეგ თავდები კარგავს ამ ნორმით მინიჭებული კრედიტორის დაკმაყოფილების უარის თქმის უფლებას. ამდენად, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მომენტი წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს, რომელიც ცვლის ამ ნორმაში მითითებული სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების სამართლებრივ

დამოკიდებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული იურიდიული ფაქტი გულისხმობს კრედიტორის ყველა იმ მოქმედებას, რაც დაკავშირებულია ძირითად მოვალის მიმართ იძულებით აღსრულების ინსტიტუტთან, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო წესით მოთხოვნის უფლების რეალიზაციასთან.

თავისთავად კრედიტორის მიერ ამ მოქმედებების განხორციელების საჭიროება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავდები უარს იტყვის კრედიტორის დაკმაყოფილებაზე. ამრიგად, განსახილველი ნორმის თანახმად თავდებს შეუძლია უარი თქვას ნორმით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე.

საქმე № 3კ-1199-02 31 იანვარი, 2003 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი)

სკ-ს 894-ე მუხლის თანახმად თავდებს შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. სკ-ს 895-ე მუხლის თანახმად, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება, წაუყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა თავდების ვალდებულების შინაარსი და ძირითადი მოვალის მდგომარეობა იძლევა საფუძველს, კრედიტორმა თავდებს წაუყენოს გადახდის მოთხოვნა მოვალისაგან იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

თუ თავდები კისრულობს ვალდებულებას, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას თავდები მისი ანგარიშებიდან, თუ ვალდებულება ვადაში არ იქნება შესრულებული თვით მოვალის მიერ, მოახდენს თანხების გადარიცხვას (რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი), ნიშნავს იმას, რომ

თავდები უარს თვითონ ამბობს სკ-ს 894-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს სოლიდარულის თანაბარმნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულება, როგორც მოვალისაგან, ასევე — თავდებისაგან ერთდროულად, ასევე ნებისმიერი მათგანისაგან დამოუკიდებლად.

საქმე № 3კ/815-01 28 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები (სამოქალაქო კოდექსის 898-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 898-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამთავრების დროისათვის თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს საგანგებოდ იქნება შეთანხმებული.

მოსარჩელე მოითხოვს თავდებს დაეკისროს ძირითადი ვალი, პროცენტი და პირგასამტეხლო. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს,

რადგან პირგასამტეხლოს გადახდევინება შეთანხმებული არ ყოფილა და მოსარჩელის მიერ საგარანტიო წერილით დათქმულ ვადაში ამ მიმართებით პრეტენზია წარდგენილი არ ყოფილა.

საქმე № 3კ/815-01 28 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები (სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი არ აცნობებს თავდებს ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის ვადის გადაცილებას ან,

თავდების მოთხოვნის საფუძველზე მას არ მიაწვდის ცნობებს ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ, მაშინ იგი დაკარგავს უფლებას თავდების წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნის იმ ნაწილზე, რა ოდენობითაც გამოიწვევდა ზიანს კრედიტორის მიერ აღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობა. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ კრედიტორმა თავდებს დროულად არ აცნობა ვალის გადახდის ვადის გადაცილება და სარჩელი აღძრა სასამართლოში გადახდის ვადის დადგომიდან 10 თვის შემდეგ. აღნიშნულის გამო მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას 10 თვის პროცენტზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდეს.

დასკვნა

კვლევის საფუძველზე გამოვლინდა თავდებობის როგორც პიროვნული უზრუნველყოფის საშუალების დადებით და უარყოფითი მხარეები გერმანულ და ქართულ კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. კვლევის შედეგად მიღებული შეჯამებული მოსაზრებების გათვალისწინება, დაეხმარება ასეთი ურთიერთობის მქონე პოტენციურ თუ უკვე აქტიურ სუბიექტებს უზრუნველყოფის საშუალების გადაცემაზე დაფიქრდეს და სწორი არჩევანი გააკეთოს. კანონმდებლობა საჭიროებს კარგად გაანალიზებას გადახედვას და სრულყოფას

895-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს სხვაგვარად რადგან ის ორი წინაპირობა რაც ჩადებულია ბერკეტად შეფასებითი კატეგორიაა და ამას ბანკს და კრედიტორს ვერცერთი თავდები ვერ გაუკონტროლებს. როდესაც მცირე თანხას ეხება საქმე, ძნელია ფიზიკური პირისთვის იდავოს სასამართლოში.

აღნიშნულთან დაკავშირებით ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ავტორის) მოსაზრებები. განხილულია სოლიდარული პასუხისმგებლობა რაც კანონმდებლის მიზნით კრედიტორის დაცვას ემსახურება, თუმცა გაუმართლებელ მდგომარეობაში აყენებს თავდებს.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომი არ ეხება თავდებობის ხელშეკურობებიდან გამომდინარე ყველა ურთიერთობის განხილვას, ვინაიდან ამას სამაგისტრო ნაშრომის კრიტერიუმები ვერ დაიტევს. ამიტომ წარმოდგნილი ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა თავდებთა ინტერესების დასაცავად რეკომენდაციების ჩამოყალიბებისათვის, ისე რომ არ დაკნინდეს თავდებობის როგორც პიროვნული

უზრუნველყოფის საშუალების როლი სამოქალაქო სამართალში. ამასთან შეიძლება ითქვას რომ ეს ნაშრომი პირველი კვლევაა აღნიშნულ საკითხზე ქართულ კანონმდებლობაში.

ნაშრომი ეძღვნება თავდებობის ხელშეკრულების სახეებს რამდენადაც ავტორის აზრით ეს არის კრედიტორებისათვის მანიპულირების შესაძლო საშუალება. წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ წარმოჩენილიყო კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული საკითხები, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გაუგებრობისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის საბაზად თუ საფუძვლად ან წინაპირობად იქცა.

ნაშრომი ავსებს იმ ღია სივრცეებს რომელიც მანიპულირებისათვისაა დარჩენილი თეორიაში და კარგად გამოიყენება პრაქტიკაში. კარგი წინაპირობაა საკანონმდებლო ინიციატივისა სამომავლოდ. ნაშრომში წარმოჩენილი ძირითადი პრობლემების ანალიზი დახმარებას გაუწევს ამ ხელშეკრულებით დაინტერესებულ როგორც იურისტ ისე არაიურისტ პირებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნათია სვანაძე - თავდებობა როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით - სამართალი #1-2 2004
2. ალექო ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), www.library.court.ge
3. სახელმეკრულებო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2014წ, USAID.
4. ახვლედიანი ზ. 1999 ვალდებულებითი სამართალი, თბილისი
5. ქურდაძე შ.თოდუა მ. 2005 ცალკეულ კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე
6. ბიჭია მ., ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, მართლმსაჯულება და კანონი N4(43)'14, გვ. 42-65;
7. ზაალიშვილი ვ., სამომხმარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი N1-2, თბილისი, 2010, გვ. 55-76;
8. ჩაჩავა ს., ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების მოშლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის სამოსამართლეო სამართლით სრულყოფის მექანიზმები, შრომის სამართალი I (სტატიათა კრებული), თბილისი, 2011, გვ. 35-66;

9. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014, 759 გვ;
10. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 457 გვ;
11. ჭეჭელაშვილი ზ., სახელმეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, 305 გვ;
12. ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2014, გვ. 44-54;
13. ჯორბენაძე ს., ხელმეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017, 370 გვ;
14. ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი ჰ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009.
15. ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1.
16. ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, Gთბ, თბ., 2010.
17. ზარანდია თ., სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 2002.

18. იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007.
19. მარიაშიძე გ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 ნაწილი, თბ., 2011.
20. მაჭარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008. 269
21. შაკიაშვილი ბ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997.